კულტურის სტრატეგია

2025

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
2016



საქართველოს სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N 303 დადგენილებით.

დოკუმენტის შემუშავებაში შეტანილი წვლილისთვის და მხარდაჭერისთვის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მადლობას უხდის ევროკავშირს, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის ელჩს საქართველოში, მის აღმატებულებას იანოშ ჰერმანს, აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამის ხელმძღვანელებს, ბატონებს: ლუჩანო გლორს, ტერი სანდელს, ტიმ უილიამსს; ექსპერტებს: რაგნარ სილს, მილენა დრაგიშევიჩს, ოლივერ რაისნერს; ბრიტანეთის საბჭოს საქართველოში, უწყებათაშორის კომისიას, საქართველოს რეგიონების და მუნიციპალიტეტების ხელისუფლებას, ექსპერტთა საკოორდინაციო ჯგუფს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, კულტურის სფეროს პროფესიონალებსა და ხელოვანებს.

საქართველოს კულტურა უნიკალური ეროვნული საგანძურია, რომელშიც ტრადიცია და თანამედროვეობა ორგანულადაა შერწყმული, ხოლო თვითგანახლების უნარი უწყვეტი პროცესია, რომლის საფუძველიც ქვეყნის მდიდარ შემოქმედებით პოტენციალშია. კულტურა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განათლების, აზროვნებისა და ესთეტიზაციის, ინტელექტის, სულიერების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წყარო და ჰარმონიული საზოგადოების ფორმირების საწინდარია. კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და თანამედროვე ხელოვნების სისტემატური განვითარება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და საზოგადოების კეთილდღეობის წინაპირობაა.

გლობალური გამოწვევების ფონზე, მცირერიცხოვანი ერის კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მისი თანამედროვე სამყაროში დამკვიდრებისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შექმნა, რაც უპრეცენდენტო მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. კულტურის სტრატეგია ფუნდამენტური დოკუმენტია, რომელიც საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამონაწილეობით შეიქმნა, რაც, არამხოლოდ საქართველოს, არამედ რეგიონის მასშტაბით პროგრესული მოვლენაა და საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმატებული თანამშრომლობის, გამჭვირვალობასა და თანასწორ პარტნიორობაზე დაფუძნებული თანამედროვე მოდელია.

კულტურის სტრატეგიის დოკუმენტი, ხელისუფლებას და საზოგადოებას ერთად გვავალდებულებს კულტურისა და შემოქმედებითობის განუხრელ მხარდაჭერასა და ხელშეწყობას.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი,
მიხეილ გიორგაძე

სარჩევი

6 ხედვა და მისია

9 სტრატეგიული მიმართულებები

ცნობიერების ამაღლება და განათლება 10

კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება 16

კულტურისა და სხვა სფეროების ურთიერთმიმართება 20

კულტურის დაფინანსება 22

კულტურის ინფრასტრუქტურა და ახალი ტექნოლოგიები 25

შემოქმედებითი ინდუსტრიები 27

კულტურის ინტერნაციონალიზაცია 30

კულტურის მმართველობის პრინციპები 32

35 სპეციფიკური ამოცანები

52

მონიტორინგი და შეფასება 53

რისკების ანალიზი 54

60

ტერმინთა განმარტება

61

სტრატეგიის შემუშავების
პროცესი და მეთოდოლოგია

სტრატეგიის განხორციელება

დანართი № 1

დანართი № 2

ხედვა და მისია

სტრატეგიის ხედვა:

საქართველო შემოქმედებითი ქვეყანა და კულტურის რეგიონული ცენტრია, სადაც საზოგადოებრივი კეთილდღეობა და მდგრადი განვითარება ეფუძნება ინოვაციებს და კრეატიულობას, ეროვნული მემკვიდრეობის და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და გაცოცხლებას.

საქართველოს უნიკალური კულტურა, ხელოვნება, თვითმყოფადი და ავთენტური მემკვიდრეობა ქვეყნის სავიზიტო ბარათია. ის უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებაში. კულტურასთან ბავშვობიდან ზიარება ამდიდრებს და ახალისებს ადამიანების ცხოვრებას, აღვივებს შემოქმედებით უნარებს, წარმოსახვას, შთაგონებასა და ნიჭს. ხელოვანი ადამიანი, თავისი ინოვაციური იდეებით, დადებით გავლენას ახდენს სხვათა ცხოვრებაზე. კულტურას უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაში, რეგიონების განახლებაში, ტურიზმის განვითარებასა და ჩვენი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან სფეროებში. ცივილიზებულ სამყაროში, კულტურა საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვისა და მისი დემოკრატიზაციის საუკეთესო ინსტრუმენტია.

ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე ქვეყნისთვის, კულტურათაშორისი კომუნიკაცია ეროვნული იდენტობის განვითარების მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს. ის ხელს უწყობს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის დიალოგის, ნდობისა და კავშირების გამყარებას, ტოლერანტობისა და ურთიერთგაგების დამკვიდრებას. მძლავრ კულტურის სექტორს, რომელშიც შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა, განვითარებულია ხელოვნება და შემოქმედება, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის მდგრად განვითარებაში. ძლიერი შემოქმედებითი ინდუსტრიები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კატალიზატორია. შემოქმედებითობის კულტივირება ხელს უწყობს თვითნაბადი და უნიკალური კულტურის თანამედროვე და კონკურენტუნარიან სფეროდ ტრანსფორმაციას. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა თუ შემოქმედებითი პოტენციალის მსოფლიო აღიარება, ქართული შემოქმედებითი ინდუსტრიების საერთაშორისო ბრენდირება უზრუნველყოფს ქვეყნის რეგიონულ კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებას და მის მსოფლიო კულტურულ რუკაზე წარმატებით დამკვიდრებას.

საქართველოს მთავრობის მისია:

საქართველოს მთავრობის მისიაა შექმნას ხელსაყრელი გარემო და ნოყიერი ნიადაგი ეროვნული მემკვიდრეობის, კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და მისი ახლებური გააზრების, შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისა და კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს:

- ცოდნაზე, შემოქმედებითობასა და ინოვაციებზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას
- კულტურულ ცხოვრებაში ფართო საზოგადოების ჩართვას
- კულტურის პოზიციონირებას მდგრადი განვითარების სხვადასხვა სექტორსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში; კულტურის თანამედროვე ინფრასტრუქტურის და ახალი ტექნოლოგიების განვითარებას
- კულტურის სფეროს დაფინანსების მდგრადობის უზრუნველყოფას და ამ სფეროში საქმიანობის მიმზიდველობას
- კულტურის ეკონომიკის განვითარებას და ინდუსტრიალიზაციას
- კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციას და ინტერნაციონალიზაციას
- კულტურის მართვის დემოკრატიზაციას

სტრატეგიული მიმართულებები

მოსალოდნელი შედეგი: კულტურა და შემოქმედებითობა ინტეგრირებულია განათლების სისტემის ყველა საფეხურზე და საზოგადოება აცნობიერებს მათ მნიშვნელობას.

1.1. მიზანი: პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები, კულტურის სექტორის მუშაკები, დაინტერესებული მხარეები, სხვა დარგების წარმომადგენლები და ფართო საზოგადოება სრულად აცნობიერებენ კულტურისა და შემოქმედებითობის მნიშვნელობასა და როლს ქვეყნის მდგრად განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობაში.

ამოცანები:

- კულტურისა და შემოქმედებითობის როლისა და პოტენციალის ახლებური გააზრებისა და წარმოჩენის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და აუდიტორიის განვითარების მიზნით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიისა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუმენტების შემუშავება (მაგ. სხვადასხვა მიზნობრივი და გავლენის ჯგუფების ცნობიერების ამაღლების პროგრამები შემოქმედებითი აზროვნების და ინოვაციური მიდგომების განვითარების, სტრატეგიული დაგეგმვის სწავლების, „შემოქმედებითი ინკუბატორების“, დამწყები ბიზნესის – ე.წ. სტარტაპების ხელშეწყობის მექანიზმების და სხვ. შესახებ);
- კულტურის მნიშვნელობის, ასევე, მდგრად განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობაში მისი როლის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, კულტურის სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან[1] დიალოგისა და კონსულტაციების რეგულარული წარმართვა, საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებისა და წარმატებული მაგალითების გამოყენება და ა.შ.;
- კულტურის სექტორში მიმდინარე პროცესების ქვეყნის მასშტაბით აქტიური გაშუქების მიზნით, არსებული მედიასაშუალებების მხარდაჭერა და კულტურაზე ორიენტირებული სხვადასხვა ფორმატის ახალი მედიასაშუალების (კულტურის არხი,

[1] კონკრეტული საკითხის მიმართ ინტერესის მქონე ფიზიკური თუ იურიდიული პირები და ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ გავლენის მოხდენას სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებაზე. მაგალითად, კულტურის პოლიტიკის განხორციელების პროცესში დაინტერესებულ მხარეებად განიხილება სხვა სახელმწიფო უწყებები, მედია, არასამთავრობო სექტორი, პროფესიული კავშირები, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, სხვა რელიგიური კონფესიები და ა.შ.

გაზეთი, ჟურნალი, ვებ-გვერდი და ა.შ.) შექმნისა და მათი განვითარების ხელშეწყობა;

- კულტურის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის გადამზადების პროგრამებისა და სხვა შესაბამისი ინიციატივების (ცნობიერების ამაღლების კამპანია და ა.შ.) შემუშავების ხელშეწყობა;
- კულტურის სექტორში მოხალისეობის ინსტიტუტის, როგორც ინდივიდის ჩართულობის, სამოქალაქო აქტივობის და პიროვნული განვითარების საშუალების მხარდაჭერა.

1.2. მიზანი: კულტურა და შემოქმედებითობა, როგორც სკოლამდელი და ზოგადი, ისე არაფორმალური განათლების შემადგენელი ნაწილია. ის ავითარებს შემოქმედებით უნარებს და აღვივებს კულტურისადმი ინტერესს ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში.

ამოცანები:

- კულტურის საგანმანათლებლო სისტემის, მათ შორის, სახელოვნებო განათლების სფეროს სისტემური საკანონმდებლო რეფორმის განხორციელება და შესაბამისად, ზოგადი განათლების სისტემაში კულტურის/სახელოვნებო განათლების საკანონმდებლო-მარეგულირებელი მექანიზმების სრულყოფა სფეროს სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით[2];
- სკოლამდელი განათლების პროგრამებში კულტურის სათანადო ასახვა და ბავშვის შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;
- კულტურისა და სახელოვნებო გაკვეთილების რაოდენობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. სასკოლო განათლების სისტემაში კულტურისა და შემოქმედებითობის ინტეგრაციის ხელშეწყობა მასწავლებელთა პროფესიული სწავლებისა და გადამზადების სტაბილური სისტემის შექმნის გზით (კურიკულუმების, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მომზადება შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობით, ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომების გამოყენება სწავლების პროცესში და სხვ.);
- სკოლისგარეშე კულტურის საგანმანათლებლო სისტემის, მათ შორის სახელოვნებო განათლების სისტემის სრულყოფა და განვითარება: სკოლისგარეშე კულტურის/სახელოვნებო განათლების სტანდარტის (საგნობრივი, მასწავლებლის პროფესიული, სასწავლო გარემოს, შეფასების და სხვ.) შემუშავება, დანერგვა და ამ სტანდარტის განხორციელების მონიტორინგი, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგის სტატუსის განსაზღვრა და სერტიფიცირების წესის დადგენა, შრომის ანაზღაურების რანგირების სისტემის შემუშავება და სხვ.;

[2] იხ. სპეციფიკური ამოცანები (მუსიკა, სახვითი ხელოვნება, სანახაობითი და სადადგმო ხელოვნება) - გვ 48-50.

- განათლებისთვის მრავალფეროვანი გარემოს შექმნისა და აუდიტორიის განვითარების მიზნით პედაგოგებსა და ხელოვანებს, ასევე, კულტურის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის სასკოლო და კლასგარეშე პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობის ხელშეწყობა (მაგ. სააბონემენტო სისტემის დანერგვა კონცერტებზე, თეატრალურ და საოპერო წარმოდგენებზე, გამოფენებზე დასასწრებად, ლექცია-გამოფენის, ლექცია-კონცერტის ორგანიზება, სამოყვარულო-შემოქმედებით კოლექტივებში მონაწილეობა და სხვ.);
- ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების კულტურულ და შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, კულტურის ცენტრების, საზაფხულო სკოლების, ბანაკების და ა.შ. შექმნა და განვითარება, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების[3] გათვალისწინებით;
- სახელოვნებო განათლების სისტემის მდგრადობის მიზნით სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლებში, საჭიროებათა ანალიზზე დაყრდნობით, მოსწავლეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა;
- ინოვაციურობისა და შემოქმედებითობის წახალისების მიზნით, შესაბამისი სისტემის (სტიპენდიები, ჯილდოები, გრანტები და სხვ.) შემუშავება და დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლებისთვის, პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის;
- სასკოლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლების ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (მაგ. ვაუჩერების შეთავაზება წიგნების, კომპიუტერული, აუდიო და ვიდეო ტექნიკის შესაძენად და სხვ.).

[3] საქართველოს მთავრობის დადგენილება N66. (2014 წლის 15 იანვარი). მოპოვებული gov.ge: http://gov.ge/files/382_40052_592414_6615.01.14.pdf - დან.

1.3. მიზანი: უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ამზადებენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს კულტურის სხვადასხვა დარგში და მათ მომიჯნავე სფეროებში, ქმნიან ინტერდისციპლინურ პროგრამებს კულტურის, ტექნოლოგიების, ბიზნესისა და სხვა სპეციალობათა სტუდენტებისთვის და კვლევით ინსტიტუტებთან ერთად ავითარებენ კულტურის სამეცნიერო საქმიანობას.

ამოცანები:

- კულტურის საგანმანათლებლო სისტემის, მათ შორის, სახელოვნებო განათლების სფეროს სისტემური საკანონმდებლო რეფორმის განხორციელება და შესაბამისად, უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის საკანონმდებლო-მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფა კულტურის სფეროს, სახელოვნებო განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით. შესაბამისი სასწავლო სტანდარტების გაუმჯობესება. უმაღლესი და პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოების[4] განახლება და გამდიდრება თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- კულტურის დისციპლინათა პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება სახელმძღვანელოებით, დამხმარე მასალებით და სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფით, ინოვაციური სასწავლო მეთოდოლოგიებისა და ინტერდისციპლინური მიდგომების დანერგვით, საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად;
- უმაღლეს სასწავლებლებში და სასწავლებლებს შორის კულტურას, ტექნოლოგიას, ბიზნესსა და სხვა საგნებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური პროგრამებისა და პროექტების ინიცირება და მხარდაჭერა;
- კულტურის სექტორის დეფიციტურ სპეციალობებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების და ნაკლებად მოთხოვნადი სპეციალობების გაცოცხლებისა და მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაფინანსების მექანიზმების შემუშავება (მაგ. პროგრამების დამატება სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული აკრედიტირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში, პრიორიტეტულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებში კულტურის დისციპლინების დამატება და მათზე გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობის გაზრდა; კულტურის მიმართულებით დოქტორანტურის პროგრამების დაფინანსება და ა.შ.);

[4] საქართველოში არსებული ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაციები („ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო"), პროფესიული განათლების შესაბამისი ყველა პროფესია, კვალიფიკაციის დონე და პროფესიული სტანდარტი („პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო") და უმაღლესი (აკადემიური) განათლების კვალიფიკაციები („უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო") სისტემატიზირებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტში;

[5] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N43/ნ. (2015 წლის 15 მაისი). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2841278 - დან;

[6] საქართველოს მთავრობის დადგენილება N97. (2016 წლის 26 თებერვალი). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, matsne.gov.ge: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3205730 - დან.

- კულტურის სექტორის არსებული, განსაკუთრებით, დეფიციტური და/ან ნაკლებად მოთხოვნადი სპეციალობების (მაგ. კულტურის მენეჯერი, კურატორი, ბიბლიოთეკარი, არქივმცოდნე, ხმის რეჟისორი, რესტავრატორ-კონსერვატორი, კულტურულ ფასეულობათა ექსპერტ-შემფასებელი, ეროვნული სამოსის სპეციალისტი, ნაქარგობის ოსტატი, სამუზეუმო ექსპოზიციის, გრაფიკული ბეჭდვის სპეციალისტი, გიდი სამუზეუმო და კულტურული ტურიზმის სპეციალობით და სხვ.) და შესაბამისი პროგრამების ხარისხის განვითარება;
- კულტურის სექტორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა თანამედროვე კვლევითი პრაქტიკის, საერთაშორისო კვლევითი ინიციატივების წახალისებისა და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით;
- კულტურის სექტორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ამ მიზნით, უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე, სტუდენტური კვლევითი პროექტების დაფინანსების მექანიზმების განვითარება, კვლევის ინოვაციური, შემოქმედებითი და თანამედროვე ფორმების, დანერგვა და ა.შ.;
- კულტურის/სახელოვნებო სასწავლებლების ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტთათვის განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით სტუდენტური საერთო საცხოვრებლების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურის განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა სასწავლებლებთან არსებული საზაფხულო სკოლების, რეზიდენციების, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების შექმნის, ასევე, სტუდენტებისა და აკადემიური კადრების მობილობის, გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერისა და საზღვარგარეთ სწავლებისთვის სპეციალური ფონდის/პროგრამის შექმნის გზით;
- უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებს, კულტურის მუშაკებს, ორგანიზაციებსა და ბიზნესსექტორს შორის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გაღრმავების გზით სასწავლო პროგრამების გამდიდრება, სტუდენტთა კულტურული აქტივობის ხელშეწყობა;
- წახალისების სისტემის (სტიპენდიები, ჯილდოები, კონკურსები, გრანტები, და სხვ.) შემუშავება უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების პედაგოგებისა და კულტურის სხვადასხვა დისციპლინის სტუდენტებისთვის (მათ შორის დოქტორანტებისთვის);
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთათვის დასაქმების, სტაჟირებისა და საწარმოო პრაქტიკის შესაძლებლობების შექმნის მიზნით, კავშირების გაძლიერება უნივერსიტეტებს, კულტურის დაწესებულებებს, შემოქმედებით ინდუსტრიებსა და ბიზნესსექტორს შორის, ბიზნესსექტორის მოტივაციის გაზრდა და წახალისების მექანიზმების შემუშავება („შემოქმედებითი ვაუჩერების“ შეთავაზება, დაჯილდოება და სხვა);
- უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მოდერნიზებისა და განვითარების, საერთაშორისო ციფრულ საბიბლიოთეკო სისტემებში ჩართვის ხელშეწყობა, სასწავლო და კვლევითი პროცესის გაუმჯობესებისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით.

1.4. მიზანი: ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები სრულად პასუხობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობს კულტურის მუშაკების კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ამოცანები:

- საჭიროებათა ანალიზზე დაყრდნობით, კულტურის სექტორის მუშაკთა, ხელოვანთა და მასწავლებელ-ინსტრუქტორთა (ტრენერთა) პროფესიული განვითარების ეფექტური სისტემის, პროფესიული დახელოვნების, გადამზადების პროგრამების შემუშავება სხვადასხვა საკითხზე (მაგ. პროექტის წერა, ფონდების მოძიება, აუდიტორიის განვითარება, მარკეტინგი, უცხოური ენა, ტრენერთა გადამზადება) და არსებული პროგრამების გაუმჯობესება სწავლების თანამედროვე ტენდენციების, ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების და სხვ. გათვალისწინებით;
- ქვეყნის მასშტაბით კულტურის სექტორში პროფესიული ცოდნისა და მართვის უნარების გაუმჯობესების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით კულტურის სასწავლო ცენტრის, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება და განვითარება;
- კულტურის მუშაკთა უახლეს სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებთან გაცნობისა და კოლეგებთან დაახლოების მიზნით სპეციალური პროგრამების, მათ შორის, ადგილობრივი და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ორგანიზება;
- კულტურის განათლების სფეროს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მხარდაჭერა წამყვან სასწავლო დაწესებულებათა ბაზაზე.

კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება

2

მოსალოდნელი შედეგი: კულტურა ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა წევრისთვის და დაცულია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნება

2.1. მიზანი: კულტურა ყველასთვის ხელმისაწვდომია საქართველოში, რეგიონების, მათ შორის, მაღალმთიანი რეგიონების, საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების და ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჩათვლით.

ამოცანები:

- კულტურის მრავალფუნქციური სივრცეების (მაგ. კულტურის სახლი, ცენტრი, კლუბი, „საზოგადოებრივი ცენტრი“[7] და ა.შ.) შექმნისა და განვითარების, შესაბამის შენობათა რეკონსტრუქციის ხელშეწყობა, ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, მაღალმთიან, საზღვრისპირა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე მუნიციპალიტეტებში, შესაბამისი კვლევების და კრიტერიუმების (მაგ. მანძილი, მოსახლეობის რაოდენობა და ა.შ.) გათვალისწინებით;
- მუნიციპალიტეტებში კულტურის მართვის გაუმჯობესების მიზნით, კულტურის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის განსაზღვრა, გაძლიერება (მაგ. გადამზადება, სერტიფიცირება და ა.შ.) და შესაბამისი ინტელექტუალური რესურსის მობილიზება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების კოორდინირებული მუშაობით;
- რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება და ერთობლივი ღონისძიებების მხარდაჭერა, რეგიონებში მცხოვრებთათვის ქვეყნის სხვადასხვა მხარის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა, კულტურის მუშაკთა მხარდაჭერისა და მათი პროდუქციის (მაგ. წარმოდგენები, კონცერტები, გამოფენები, ფილმები, წიგნები და ა.შ.) ქვეყნის მასშტაბით წარმოჩენის მიზნით;
- რეგიონებში კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ინოვაციური მეთოდების გამო-

[7] „საზოგადოებრივი ცენტრების“ განვითარება არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინიციატივა, რაც გულისხმობს სოფლებში თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სივრცის შექმნას, სადაც ხელმისაწვდომია უფასო ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, ვიდეოკონფერენციის აპარატურა და თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა.

ყენების მხარდაჭერა (მოძრავი კინოთეატრები, საკონცერტო სცენები და ბიბლიოთეკები, საოპერო და დრამატული სპექტაკლების პირდაპირი ტრანსლაცია კინოდარბაზებში და ა.შ.).

2.2. მიზანი: საზოგადოების ყველა წევრი, მათ შორის, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირები, ახალგაზრდები, უმცირესობები, აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ ცხოვრებაში და მათთვის ხელმისაწვდომია კულტურის ინფრასტრუქტურა და რესურსები.

ამოცანები:

- სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირების, ახალგაზრდების, უმცირესობების გააქტიურებისა და მათი კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით, შესაბამისი კულტურული და შემოქმედებითი პროექტების, ინიციატივების, ღონისძიებებისა და კამპანიების ორგანიზება და შესაბამისი სივრცეების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა;
- სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირებისა და უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, სპეციალური, ადაპტირებული მედია პროგრამების შემუშავების მხარდაჭერა;
- შშმ, ლტოლვილი, იძულებით გადაადგილებული, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლე, რეპატრიანტი და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის შეღავათების მექანიზმების შემუშავება კულტურის სპეციალობებზე სწავლის ხელმისაწვდომობის მიზნით;
- კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურების მხარდაჭერა და წახალისება, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე, შშმ პირებისთვის, სოციალურად დაუცველთათვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთათვის, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის სპეციალური პირობების (მაგ. ბილეთის დაბალი ფასი, თავისუფალი შესვლა, ღია კარის დღე და სხვ.) შეთავაზებისა და მათი დასაქმების მიზნით;
- იძულებით გადაადგილებული, ლტოლვილი და რეპატრიანტი, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე და უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ბავშვებისა და მოზარდების ადგილობრივ თანატოლებთან ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, მათი სხვადასხვა კულტურულ პროექტში ჩართვის მხარდაჭერა;
- უმცირესობების ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა, ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა და სხვ.;
- კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის, არსებული და მშენებარე კულტურის ობიექტების მათ საჭიროებებთან ადაპტაციის გზით;
- კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კადრების გადამზადება შშმ პირებთან ურთიერთობისთვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით;

- კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელშეწყობა შშმ პირების ადაპტირებული პროგრამებითა და მასალებით (აუდიოწიგნები, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები, სურდოთარგმანი, სუბტიტრები, ინტერნეტ და ციფრული აპლიკაციები[8] და ა.შ.) უზრუნველყოფის მიზნით;
- შშმ პირების კულტურისა და სახელოვნებო განათლებაში ჩართულობის ხელშეწყობა, შესაბამისი საკანონმდებლო-მარეგულირებელი მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს და სპეციალური პროგრამების შექმნის მხარდაჭერით;
- კულტურის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება და კულტურის პოტენციალის გამოყენება გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის მიზნით.

2.3. მიზანი: ქართული დიასპორა აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, შენარჩუნებულია მისი კულტურული იდენტობა.

ამოცანები:

- საზღვარგარეთ ქართული კულტურის კერების შექმნისა და განვითარების მხარდაჭერა, ქართულ დიასპორაში ქართული ენის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების, საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მათი ჩართულობის, ქართული კულტურისა და შემოქმედების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიზნით;
- საზღვარგარეთ მცხოვრები კულტურის წარმატებული მუშაკების, აკადემიური კადრების და მკვლევართა ჩართვის მხარდაჭერა საქართველოში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებში;
- საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ქართული დიასპორის მონაწილეობის ხელშეწყობა სხვადასხვა პროექტის თუ გაცვლითი პროგრამის განხორციელებითა და მხარდაჭერით, საქართველოში და საზღვარგარეთ.

[8] თანამედროვე ციფრული ტექნიკისთვის (მაგ. კომპიუტერი, ტაბლეტი, სმარტფონი და ა.შ.) შექმნილი სხვადასხვა სახის პროგრამა რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია როგორც სამუშაოდ, ისე საგანმანათლებლო-შემეცნებითი და გასართობი მიზნებით.

2.4. მიზანი: კულტურული მრავალფეროვნება, სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვა და ურთიერთქმედება ამდიდრებს სახელმწიფოს და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას.

ამოცანები:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიზაციისთვის კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობისა და მისი შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ (მაგ. განსხვავებულობის, სხვადასხვა კულტურათა აღიარება და მიმღებლობა და მათ მიმართ შემწყნარებლობა, სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მქონე ხელოვანთა და მულტიკულტურული გარემოს როლი და სხვ.);
- კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებისა და სოციალური ერთობის განმტკიცების მიზნით, სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო სექტორის სხვადასხვა ინიციატივის მხარდაჭერა (მაგ. შემოქმედებითი პროექტი, არაფორმალური განათლების პროგრამები, ინტერკულტურული ბანაკები და ა.შ.);
- მრავალფეროვანი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების მიზნით, განსხვავებული კულტურული ტრადიციების მქონე ხელოვანებისა და აკადემიური კადრების გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და განვითარების მიზნით, საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და აღდგენა (მაგ. ძეგლების რეაბილიტაცია, სხვადასხვა ტრადიციული ცოდნისა და საშემსრულებლო ხელოვნების შენარჩუნება და სხვ.);
- კულტურისა და შემოქმედების ტრადიციული და თანამედროვე ფორმების, ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების თანაარსებობის, კულტურაში სამთავრობო და არასამთავრობო, კერძო სექტორების, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობის თანაბარი ხელშეწყობა;
- ენობრივი მრავალფეროვნების, როგორც კულტურული მრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, განვითარების მხარდაჭერა;
- მედიამრავალფეროვნების ხელშეწყობა (მაგ. სხვადასხვა ტიპის მედიასაშუალებების, განსხვავებული შინაარსის მქონე გადაცემების შექმნისა და გავრცელების მხარდაჭერა და სხვ.);
- ურბანული მრავალფეროვნების მნიშვნელობის გათვალისწინება ქალაქგანვითარების პროცესში (მაგ. ურბანული მრავალფეროვნების ხელშეწყობის პროგრამების, კონცეფციების შემუშავება და სხვა).

მოსალოდნელი შედეგი: კულტურა და შემოქმედებითობა ხელს უწყობს სხვადასხვა სფეროს, ზოგადად, ქვეყნის მდგრად განვითარებას და საზოგადოების კეთილდღეობას.

3.1. მიზანი: კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სხვა უწყებებს, დაინტერესებულ მხარეებს შორის რეგულარული კონსულტაციების საფუძველზე, კულტურა ინტეგრირებულია სხვადასხვა დარგის, სამთავრობო უწყებების, მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკაში.

ამოცანები:

- პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ამაღლება, საჯარო პოლიტიკის სხვა სფეროებზე კულტურისა და მისი ეკონომიკური გავლენის შესახებ;
- მდგრადი განვითარების ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებში კულტურის საკვანძო როლის გათვალისწინებით[9], მისი ინტეგრირება საერთო სამთავრობო, სექტორული და რეგიონული დაგეგმვის დოკუმენტებში, საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში (მაგ. განათლების, ჯანდაცვის, ახალგაზრდობის, ეკონომიკური, რეგიონული და ურბანული განვითარების, ტურიზმის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, საგარეო ურთიერთობების და სხვ.);
- კულტურის პოლიტიკის განმსაზღვრელ და სხვა უწყებებს შორის რეგულარული კონსულტაციების პლატფორმის (მაგ. უწყებათაშორისი კომისია, საკონსულტაციო სამთავრობო საბჭო და სხვ.) შექმნა, რაც საწყისი ეტაპიდანვე უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ცალკეული დარგის საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სხვა უწყებებს შორის ერთობლივი პროგრამების, ინიციატივების (მაგ. ინტეგრირებული ტურისტული შეთავაზება, ქვეყნის ერთიანი ბრენდპაკეტის შექმნა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შემოქმედებით ინდუსტრიებს, სოფლის მეურნეობას, გასტრონომიას, მემკვიდრეობის ძეგლებს, დაცულ ტერიტორიებს და სხვ.) შემუშავება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის მიზნით.

[9] გაერო განიხილავს გლობალური განვითარების დღის წესრიგში კულტურისთვის ცენტრალური როლის მინიჭებას, იქიდან გამომდინარე, რომ კულტურას უმნიშვნელოვანესი წვლილის შეტანა შეუძლია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, განსაკუთრებით: სიღარიბის შემცირებაში, განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში, გარემოს რესურსების ეფექტურ მართვაში, მდგრადი ქალაქების განვითარებაში, საზოგადოების სოციალურ ერთიანობასა და ჩართულობაში. (კულტურა მდგრადი განვითარებისთვის, 2016 წლის ივნისი. მოპოვებული unesco.org: http://en.unesco.org/themes/culture-sustainable-development - დან.)

3.2. მიზანი: კულტურის მუშაკებს, სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო სექტორს შორის რეგულარული თანამშრომლობის შედეგად, დანერგილია გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემათა გადაჭრის ეფექტური მეთოდები და გაუმჯობესებულია ცხოვრების ხარისხი.

ამოცანები:

- ინფორმაციის გავრცელება კულტურის მუშაკთა სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციაში დასაქმების წარმატებული მაგალითებისა და სხვა სფეროებზე კულტურის დადებითი გავლენის შესახებ;
- კულტურის სექტორში საჯარო და კერძო პარტნიორობის წარმატებული მაგალითების პოპულარიზაცია;
- შემოქმედებითი მიდგომებისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის წახალისება სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით;
- კულტურის მუშაკებისთვის, მენეჯერების - თვის და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებისთვის გადამზადების პროგრამების განხორციელება (მაგ. შემოქმედებითი მიდგომა პრობლემის გადაჭრის პროცესში, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენება და სხვა);
- დაფინანსების მოქნილი და მიმზიდველი მექანიზმების (მაგ. ინოვაციური და შემოქმედებითი ვაუჩერები[10]) შემუშავება, ერთი მხრივ, კულტურის სექტორის წარმომადგენლებს, და მეორე მხრივ, კულტურასა და სხვა სფეროებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით.

[10] სახელმწიფოს მიერ, მცირე ან საშუალო საწარმოებში ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურებების განვითარების მხარდასაჭერად შემუშავებული ფინანსური ინსტრუმენტი (ვაუჩერი ხშირად გაიცემა ბიზნესის მიერ შემოქმედებითი ხასიათის მომსახურების შეძენისთვის).

4

მოსალოდნელი შედეგი: კულტურის დაფინანსების მექანიზმები მრავალ-ფეროვანი და გამჭვირვალეა, მდგრადია კულტურის დაფინანსება და მიმზიდველია კულტურის სექტორში საქმიანობა.

4.1. მიზანი: კულტურა ფინანსდება ყველა დონის ბიუჯეტიდან, სხვადასხვა წყაროდან – დანერგილია დაფინანსებისა და წახალისების ინოვაციური მექანიზმები, გაზრდილია კერძო სექტორის მოტივაცია კულტურის დასაფინანსებლად; თანხები ნაწილდება გამჭვირვალედ და ეფექტურად.

ამოცანები:

- ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში კულტურის როლის გათვალისწინებით, კულტურის სფეროს მდგრადი საბიუჯეტო დაფინანსება;
- ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში კულტურის როლის გათვალისწინებით, ეთხოვოს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მუნიციპალურ ორგანოებს კულტურის სფეროს მდგრადი დაფინანსება (ავტონომიური რესპუბლიკების/მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან);
- დაფინანსების სტაბილური და გამჭვირვალე სისტემის შემუშავება, საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით[11];
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ საბიუჯეტო სახსრების განაწილების პროცესში არგუმენტებზე დაფუძნებული მიდგომებისა და გამჭვირვალე, ღია და სამართლიანი სისტემების (მაგ. კოლეგიალური და საექსპერტო შეფასება) დამკვიდრება;
- მდგრად განვითარებაში კულტურის სექტორის პოტენციალიდან გამომდინარე, სხვა დარგის საბიუჯეტო ორგანიზაციების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, მათი კომპეტენციის, შესაძლებლობებისა და საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, კულტურის კომპონენტის[12] გათვალისწინება საბიუჯეტო სახსრების განაწილებისას;
- კულტურის დაფინანსების საკითხების შედეგზე ორიენტირებული (პროგრამული ბიუჯეტი) დაგეგმვის ჭრილში განხილვა;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, თანადაფინანსების სქემების შემუშავებისა და ერთობლივი პროგრამების განხორციელების მიზნით;

- კულტურის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების განვითარებისთვის ხელსაყრელი საკანონმდებლო გარემოს შექმნა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული შეღავათების დახვეწა, ერთი მხრივ, კულტურის სექტორში მოღვაწე სუბიექტების განვითარებისა და, მეორე მხრივ, კერძო სექტორის მიერ კულტურის დაფინანსებისა და კულტურის პროექტების განხორციელების წახალისების მიზნით[13];
- კულტურის სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილებების შეტანა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში;
- შესაბამისი მოდელის შემუშავება, რომელიც ასახავს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების დაკვეთით მშენებლობისას (მაგ. საავადმყოფო, მეტროსადგური, სკვერი და ა.შ.) ბიუჯეტის გარკვეული ნაწილის საჯარო ხელოვნების ნაწარმოებზე (ბარელიეფი, ქანდაკება, ინსტალაცია და ა.შ.) მოხმარების შესაძლებლობებს;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ავტონომიურ რესპუბლიკებს და მუნიციპალიტეტებს ეთხოვოს ზემოხსენებული მოდელის გათვალისწინება მათი კომპეტენციის, შესაძლებლობებისა და საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში;
- კულტურის საბიუჯეტო ორგანიზაციებში არასაბიუჯეტო შემოსავლების წილის გაზრდის მიზნით, შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, მენეჯმენტის უნარების გაუმჯობესება, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და სხვა.

[11] მაგ: ინგლისის ხელოვნების საბჭო. (2016). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, artscouncil.org.uk: http://www.artscouncil.org.uk/about-us-0 - დან ხელოვნების ეროვნული ფონდი. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, arts.gov: https://www.arts.gov/about-nea - დან;

[12] მაგ. გარემოს დაცვა - ნარჩენების გამოყენება მოდასა და დიზაინში; თავდაცვა - სამხედრო შენაერთების მობილიზება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასაცავად, კულტურული მემკვიდრეობის ევაკუაცია შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში; ჯანდაცვა - არტთერაპიის მხარდაჭერა; ეკონომიკა და მდგრადი განვითარება - შემოქმედებითი ინდუსტრიების მხარდაჭერა, კულტურული ტურიზმის ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობა - ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის (გასტრონომია, ადგილობრივი კულტურული ჯიშები და სახეობები, ტრადიციული რეწვა, ვენახის ლანდშაფტი, ღვინის დაყენების ტექნოლოგია და სხვ.) მხარდაჭერა; სასჯელაღსრულება - პატიმართა ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში; საგარეო ურთიერთობები - კულტურული დიპლომატია, და სხვ.

[13] მაგ. „კანონი ქველმოქმედების შესახებ“, ე.წ. „ქალაქის მოსაკრებელი“, ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების ნაწილის კულტურის განვითარებისთვის გამოყენება და სხვ.

4.2. მიზანი: სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის მუშაკთა და ხელოვანთა დასაქმების შესაძლებლობების შექმნას, მათთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და კულტურის პროფესიების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს ამ პროფესიის ადამიანების სოციალური დაცვის მექანიზმებს.

ამოცანები:

- მოსახლეობის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის, დასაქმების ბაზრისა და შრომის პირობების კვლევის ხელშეწყობა;
- კულტურის მუშაკთა, მათ შორის, პედაგოგების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დასაქმების მიზნით, გადამზადებისა და უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა თანამედროვე ბაზრის გამოწვევების გათვალისწინებით;
- არსებული საზოგადოებრივი და კულტურის ცენტრების, ბიბლიოთეკების მეშვეობით კულტურის მუშაკების ინფორმირება ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების, კვალიფიკაციის ამაღლების, კონსულტაციების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ;
- დასაქმების პირობების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება კულტურის სექტორში თვითდასაქმებული მუშაკისა და მცირე მეწარმისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის;
- კულტურის მუშაკთა, მათ შორის, თვითდასაქმებულ და არასრულ სამუშაო განაკვეთზე მომუშავეთა, სოციალური გარანტიებისა და მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავება;
- საზოგადოების კეთილდღეობასა და მდგრად განვითარებაში კულტურის და შემოქმედებითობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, კულტურის საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებისა და სოციალური გარანტიების სისტემის შემუშავება.

კულტურის ინფრასტრუქტურა და ახალი ტექნოლოგიები

5

მოსალოდნელი შედეგი: განვითარებულია კულტურის ინფრასტრუქტურა, შექმნილია სათანადო სამუშაო გარემო და დანერგილია ახალი ტექნოლოგიები.

5.1. მიზანი: კულტურის ინფრასტრუქტურის განვითარება და ეფექტური მართვა სათანადო პირობებს ქმნის მაღალი ხარისხის კულტურისმიერი პროდუქტისა და მომსახურების შექმნისა და მიწოდებისთვის, კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებისთვის.

ამოცანები:

- კულტურის ინფრასტრუქტურის ქვეყნის მასშტაბით განვითარება – ახალი ობიექტების მშენებლობა და ძველის განახლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- კულტურის ინფრასტრუქტურის ეფექტური მართვისა და არსებული კაპიტალური აქტივების[14] მრავალფუნქციური გამოყენების მიზნით ადამიანური რესურსების განვითარება;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა კულტურის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანებისთვის;
- ეკოლოგიური მშენებლობის პრინციპების, მწვანე არქიტექტურის სტანდარტების (მაგ. ენერგოეფექტურობა, განახლებადი რესურსები და ა.შ.) გამოყენება კულტურის ინფრასტრუქტურის დაგეგმარების, მშენებლობისა და განახლების პროცესში, რესურსების დაზოგვისა და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების მიზნით;
- კულტურის ობიექტების დამხმარე და ტურისტული ინფრასტრუქტურის (მაგ. საინფორმაციო-საორიენტაციო მანიშნებლები, ძეგლებამდე მისასვლელი გზები, ავტოსადგომები, წყალგაყვანილობა, სველი წერტილები და ა.შ.) განვითარება;
- კულტურის ინფრასტრუქტურის ქალაქთმშენებლობის პროცესის ორგანულ ნაწილად განხილვა და ხელოვნების ნაწარმოების შექმნის, გამოფენისა და წარდგენისთვის შესაბამისი სივრცის გამოყოფა, რაც ხელს შეუწყობს კულტურის განვითარებას, დასახლებების ბრენდირებას, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის კულტურული იდენტობის განმტკიცებას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

[14] უძრავი და მოძრავი ქონება (შენობა-ნაგებობა, აღჭურვილობა და ა.შ.).

5.2. მიზანი: ახალი ტექნოლოგიების განვითარება და ეფექტური გამოყენება, კულტურის ციფრულ სივრცეში ინტეგრაცია ხელს უწყობს კულტურის სექტორის გაძლიერებას, შემოქმედებითი პროცესების გააქტიურებას, ინოვაციური პროდუქტისა და მომსახურების შექმნას.

ამოცანები:

- კულტურის სექტორში ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების დანერგვის, განვითარებისა და ეფექტური გამოყენების მხარდაჭერა, სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით (მაგ. შესაბამისი გადამზადების პროგრამების შემუშავება: ციფრული მარკეტინგი, აუდიტორიის განვითარება, ახალი ტექნოლოგიები; წახალისების სქემების შეთავაზება, ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ა.შ.);
- კულტურის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის პროცესის აქტიური მხარდაჭერა, კულტურის სექტორის ციფრულ სამყაროში ინტეგრირებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განვითარების მიზნით;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვის აქტიური ხელშეწყობა, კულტურის დაწესებულებების მართვის ეფექტურობის გაზრდის, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით (მაგ. ნაკლები მოთხოვნა ქაღალდზე და სხვ.);
- ელექტრონული მმართველობის[15] პრინციპების შესაბამისად, კულტურის საბიუჯეტო ორგანიზაციების ვებსივრცეში ინტეგრაციის, ეფექტური ვებგვერდების განვითარებისა და ელექტრონული მომსახურებების დანერგვის ხელშეწყობა, კულტურაზე საზოგადოების წვდომისა და ჩართულობის გაზრდის, ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარების, კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით;
- კულტურის სექტორის ორგანიზაციებში ციფრული პროდუქტებისა და მომსახურებების (მაგ. პროგრამები, აპლიკაციები და ა.შ.) შექმნის მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური და მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული მომსახურების განვითარებას;
- სექტორებს შორის ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლის, კომუნიკაციის გაღრმავების აქტიური მხარდაჭერა, რაც შექმნის ახალ შესაძლებლობებს კულტურის სექტორის ორგანიზაციებისთვის, ხელს შეუწყობს მართვის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდას, დანახარჯების შემცირებას, ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებას და სხვა;
- ქვეყნის კულტურის დაცვის, შენარჩუნებისა, პოპულარიზაციისა და სექტორის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის მიზნით, გაციფრულების პროცესის აქტიური მხარდაჭერა;
- ახალი ტექნოლოგიების სპეციალისტების მხარდაჭერა ახალი მედიახელოვნების (მაგ. ციფრული ხელოვნება, ვიდეოთამაში, კომპიუტერული ანიმაცია და სხვ.) შექმნის და სხვა სახის პროდუქტში (მაგ. მობილური აპლიკაციები, კომპიუტერული პროგრამები და სხვ.) კულტურის კომპონენტის გათვალისწინების მიზნით.

[15] ელ. მმართველობა არის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ორმხრივი კომუნიკაცია ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის. არსებობს კომუნიკაციის სამი ძირითადი დონე:
I ინფორმაციული - ცალმხრივი კომუნიკაცია; II ინტერაქტიული - ორმხრივი კომუნიკაცია (მომსახურებების მიღება, ონლაინ კონსულტირება და ა.შ); III - ჩართულობითი - მოქალაქის ჩართულობა საჯარო პოლიტიკის პროცესებში (მოქალაქე აფიქსირებს საკუთარ აზრს, იქნება ეს ელ-პეტიციის, ფორუმის, ღია/დახურული კითხვების თუ სხვა ფორმით);
საქართველოს საჯარო სამსახურში ელექტრონული მმართველობის განვითარება ქვეყნის პრიორიტეტია.

მოსალოდნელი შედეგი: შემოქმედებითი ინდუსტრიები სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკური ზრდისა და ინოვაციის მნიშვნელოვანი წყარო და კონკურენტუნარიანი სფეროა.

6.1. მიზანი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოა შექმნილი საქართველოში და გაზრდილია მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოება და მომსახურება.

ამოცანები:

- შემოქმედებით ინდუსტრიებში არსებული მდგომარეობის ანალიზი, მისი ეკონომიკური მნიშვნელობის და პოტენციალის შეფასება (მაგ. კომპანიების საქმიანობის, კაპიტალბრუნვის, დასაქმების, ექსპორტის და ა.შ. აღწერა) ინვესტორთა მოზიდვის ეფექტური სისტემის შემუშავების მიზნით;
- სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამის – „შემოქმედებითი საქართველო“ დაფუძნება, რაც გულისხმობს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მიზნით, სხვადასხვა მექანიზმის შემუშავებას (საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამები, შესაბამისი გადამზადების შესაძლებლობების შექმნა, „შემოქმედებითი ინკუბატორების“ განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა და ა.შ.);
- კულტურის სხვადასხვა მიმართულების ბიზნესგანვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების (მაგ. „რეწვის საბჭო[16]“ და სხვ.) დაფუძნება და გაძლიერება, პროფესიული განვითარების, სექტორთაშორისი დიალოგისა და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით;
- შემოქმედებითი ინდუსტრიების ფინანსური გაძლიერების მხარდაჭერა, ერთი მხრივ, სექტორისათვის გათვალისწინებული სპეციალური პროგრამებისა და ინიციატივების, წახალისების სქემების შემუშავების, და მეორე მხრივ, საქართველოში თუ საზღვარგარეთ არსებული ფონდებისა და პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის გზით;
- შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის შესაბამისი სივრცეების მოდერნიზაცია/შექმნა, ძველი, უფუნქციო და მიტოვებული შენობების (მაგ. ქარხნები, საცავები და ა.შ.) შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური იდეების

[16] ინგლისის რეწვის საბჭო. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, craftscouncil.org.uk: http://www.craftscouncil.org.uk/what-we-do/search/a9220496bf6e7c12eb3a43af4384505d - დან.

რეალიზაციას, შემოქმედებითი საქმიანობის გაცოცხლებას, კულტურის სექტორის წარმომადგენლებს შორის კავშირების განვითარებას, კერძო სექტორთან თანამშრომლობას;

- სპეციალური პროგრამების განხორციელება კულტურის სექტორში ბიზნეს-უნარების (მაგ: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ინოვაცია, ახალი ტექნოლოგიები, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა, საგადასახადო რეგულაციები, და სხვ.), ხოლო ბიზნესსექტორში - შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით;
- „შემოქმედებითი ინკუბატორების" შექმნის მხარდაჭერა, რომელიც შემოქმედებით ინდუსტრიებს, მათ შორის, დამწყებ ბიზნესს, სპეციალურ სივრცეს და შესაბამის მომსახურებას შესთავაზებს (მაგ: გადამზადება, კონსულტაცია, ახალი ტექნოლოგიების გაზიარება, კავშირების განვითარება და სხვა);
- შემოქმედებითი ინდუსტრიების ვებპორტალების და კომერციული პლატფორმების (აუქციონები, არტბაზრობები, ონლაინ მაღაზია და სხვ.) შექმნის და განვითარების მხარდაჭერა;
- შემოქმედებით ინდუსტრიებს შორის ქსელებისა და კლასტერების[17] განვითარების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

6.2. მიზანი: საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმები ხელს უწყობს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას სამართლიან და კონკურენტულ გარემოში.

ამოცანები:

- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის საკანონმდებლო ინსტრუმენტების გაუმჯობესება, კანონის აღსრულების მექანიზმების გამკაცრება შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით და საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების კუთვნილი ჰონორარების უზრუნველყოფის მხარდაჭერა.
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა სახის აქტივობების განხორციელება და საინფორმაციო კამპანიების ჩატარება (მაგ. კულტურის სექტორის წარმომადგენლებს, უფლების მფლობელებს, კოლექტიური მართვის ორგანიზაციებს, სამართლის სფეროს წარმომადგენლებს და პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის ან მისი დარღვევისა და დამრღვევი პირის წინააღმდეგ გატარებული ზომების საინფორმაციო საშუალებებით გაშუქება და საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა);
- ტოპონიმების[18], ბრენდების, ადგილწარმოშობის სახელების[19], ტრადიციული კულტურული პროდუქტის სახელწოდებების ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სამართლებრივი დაცვა;

[17] საერთო საკითხებისა თუ ინტერესების ირგვლივ გაერთიანებული ერთი და იმავე/განსხვავებული პროფილის ორგანიზაციებისა და სხვადასხვა პროფესიის ინდივიდთა ჯგუფი;

- ტექნოლოგიური და ელექტრონული ინფორმაციული სისტემების განვითარების პირობებში სპეციალიზირებული ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც მონიტორინგს უწევენ კულტურის სფეროს ავტორთა, შემსრულებელთა, გამომცემელთა, დამამზადებელთა და ა.შ. ქონებრივი უფლებების დაცვას;
- ინტერნეტმეკობრეობასთან ბრძოლის მექანიზმების გაძლიერება, ინტერნეტ პროტოკოლის შემუშავება და მიღება, არალეგალური მეკობრული ბაზრის შეზღუდვა ლეგალური პროდუქტებით ჩანაცვლების გზით;
- საავტორო უფლებების დაცვის კუთხით სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომების გატარების პრეცედენტების შექმნა.

[18] გეოგრაფიული ადგილის - ქვეყნის, დასახლების, მთის, ტყის, მინდვრის და ა. შ. სახელწოდება (მაგ. თბილისი, მთაწმინდა და სხვ.);

[19] გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი, გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად, რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიულ ადგილზე და რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის ფაქტორით, ამასთან, ამ პროდუქციის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში (მაგ. „ხვანჭკარა“, „ნაბეღლავი“ და ა.შ.).

7

მოსალოდნელი შედეგი: საქართველო საერთაშორისო კულტურული პროცესების აქტიური მონაწილეა და მიმზიდველია მსოფლიოსთვის თავისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით, აქტიური კულტურული ცხოვრებითა და შემოქმედებით.

7.1. მიზანი: კულტურის სექტორის ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, ზრდის ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობებს და ცნობადობას.

ამოცანები:

- კულტურის სექტორში არსებული კანონმდებლობის რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციის, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების უზრუნველყოფა;
- საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ორმხრივი/მრავალმხრივი ხელშეკრულებების და/ან ერთობლივი პროგრამების ფარგლებში;
- ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ძალისხმევის გაძლიერება ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი დამკვიდრებისთვის (კულტურის მუშაკების/ორგანიზაციების/შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლების საერთაშორისო კლასტერებში, ქსელებში გაწევრიანება, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, მობილობის მხარდაჭერა (მაგ. სამგზავრო გრანტები, გაცვლითი პროგრამები და სხვ.), კოპროდუქციის, კულტურისმიერი პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტის ხელშეწყობა და სხვ.);
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება შემოქმედებითი ინდუსტრიების საერთაშორისო ონლაინ პლატფორმებში ჩართვის და პროდუქციის ექსპორტის, ასევე, საერთაშორისო ონლაინ პლატფორმების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;
- შემოქმედებითი ინდუსტრიების მხარდაჭერა საერთაშორისო პროგრამებით (მაგ: „შემოქმედებითი ევროპა“, “ევრიმაჟი“, “აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამა“, „იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების კავშირი“ და სხვ.) თანადაფინანსების შესაძლებლობის შექმნასა და კოპროდუქციის განვითარებაში;
- საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის დღეების ჩატარების კომპლექსური კონცეფციის შემუშავება და დანერგვა (მაგ. კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად, კულტურის სექტორში თანამედროვე მიღწევების, ინიციატივების, წარმატებული შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და ინვეს-

ტიციების, სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამების და სხვ. წარმოჩენა და ერთიანი ბრენდ-პაკეტის შემუშავება);

- ქართული კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, საჯარო-კერძო პარტნიორობის და ერთობლივი პროექტების განხორციელების (მაგ. გამოფენების ჩატარება, საერთაშორისო ბაზრობებზე, ფესტივალებზე და სხვა ღონისძიებებზე საქართველოს წარდგენა, ბიზნესის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული რესურსის ერთობლივი წარმოჩენა და სხვ.) ხელშეწყობა;
- კულტურის რესურსის მნიშვნელობის გათვალისწინება საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაში, საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში (მაგ. კულტურის ატაშეს ინსტიტუტის დამკვიდრების ხელშეწყობა და ა.შ.).

კულტურის მმართველობის პრინციპები

8

მოსალოდნელი შედეგი: კულტურის პოლიტიკა ეფუძნება კვლევებს და მისი შემუშავების ღია და გამჭვირვალე პროცესში ჩართულია პროფესიული წრეები და ფართო საზოგადოება.

8.1. მიზანი: საქართველოს კულტურის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება შეესაბამება „კარგი მმართველობის“ პრინციპებს.

ამოცანები:

- სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არგუმენტებზე დაფუძნებული მიდგომებისა და გამჭვირვალე, ღია და სამართლიანი სისტემების დამკვიდრება;
- კულტურის საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ძირითადი საქმიანობის წარმართვა ეფექტური და გამჭვირვალე სისტემების განვითარების საშუალებით და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება;
- კულტურის დარგის მმართველობის ეფექტურობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საკანონმდებლო-მარეგულირებელი ბაზის დახვეწა (მათ შორის, სხვა დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანა, მაგ. საქართველოს ორგანული კანონი– ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, კანონი შესყიდვების შესახებ და სხვ.) რატიფიცირებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან ჰარმონიზაცია და კანონის აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესება;
- ელექტრონული მმართველობის მექანიზმებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული რეგულაციების საშუალებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ამაღლება და ძირითადი დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა კულტურის პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
- კულტურის სექტორის ადმინისტრირების გაუმჯობესება შესაბამისი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებით და სამართლიანი საკადრო პოლიტიკის გატარებით;
- დეცენტრალიზაციის პროცესში კულტურის დაწესებულებების და ორგანიზაციების გაძლიერებისა და კულტურის განვითარების მიზნით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების კოორდინირებული მუშაობა, ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, შესაბამისი ინტელექტუალური და კულტურის რესურსის მობილიზება;

- კულტურის სექტორში წარმომადგენლობითი/ქოლგა ორგანიზაციების შექმნისა და გაძლიერების მხარდაჭერა (საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება), კულტურის სხვადასხვა საკითხის ადვოკატირებისა და პროფესიულ კონსენსუსზე დაფუძნებული დარგობრივი სტრატეგიების შემუშავების მიზნით;
- მუნიციპალიტეტების, კულტურის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელშეწყობა სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების (მაგ. მუნიციპალიტეტის კულტურის სტრატეგია/სამოქმედო გეგმა, კულტურის დაწესებულების ორგანიზაციული განვითარების სტრატეგია და ა.შ.) შემუშავების პროცესში.

8.2. მიზანი: კულტურის კვლევები და სტატისტიკა, მათი ხარისხი და ხელმისაწვდომობა კულტურის პოლიტიკის საფუძველს ქმნის.

ამოცანები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის/ინდიკატორების დანერგვა, მონაცემთა ბაზების სრულყოფა და რეგულარული განახლება, კულტურის სფეროს გავლენის შეფასება[20] და კვლევის შედეგების გათვალისწინება კულტურის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში;
- მონაცემთა შეგროვებისა და გადამუშავების ელექტრონული პროგრამების დანერგვა და კულტურის მუშაკთა გადამზადება კულტურის კვლევისა და ანალიზის შესაბამისი უნარებით აღჭურვის მიზნით;
- კვლევისა და ანალიზის პროცედურების გამჭვირვალობისა და დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო მონაცემების გამოყენება და მათი გაზიარება კულტურის სექტორის ორგანიზაციების, ინსტიტუციებისა და დაინტერესებული პირებისთვის;
- სახელმწიფო უწყებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციასთან (კვლევითი ინსტიტუტები, ბიბლიოთეკები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ეროვნული არქივი, თვითმმართველობები და ა.შ.) თანამშრომლობის გააქტიურება, კულტურის სექტორის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის, დარგობრივი კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით;
- სახელისუფლებო ორგანოებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება კულტურის სექტორის გრძელვადიანი კვლევებისა და პროექტების განხორციელებისთვის;
- კულტურის სექტორის სამეცნიერო-კვლევითი სისტემის, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებისთვის შესაბამისი ბეჭდური თუ ელექტრონული საშუალების განვითარებისა და მოდერნიზების ხელშეწყობა.

[20] გარკვეულ პროექტზე, აქტივობაზე ან მთლიანად, სფეროსა და პროცესებზე კულტურის ზემოქმედების ანალიზი.

სპეციფიკური ამოცანები

კულტურული მემკვიდრეობა

- კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის შემუშავება რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებების გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის დარგში არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ყველა შესაბამისი თემის (მატერიალური, არამატერიალური, ბუნებრივი მემკვიდრეობა) ადეკვატურად ასახვის მიზნით; კანონის აღსრულების გაძლიერება, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და სხვადასხვა მექანიზმის შემუშავება (მაგ. ძეგლის მცველის სტატუსის განსაზღვრა და სხვ.);
- საფრთხის ქვეშ მყოფი ქართული ძეგლების იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დაბრუნების მიზნით შესაბამისი ქმედებების განხორციელება; ახალი ნომინაციების მომზადება მატერიალური, არამატერიალური და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობისა და იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად;
- კულტურული მემკვიდრეობის კლასიფიკაციისა და კატეგორიზაციის სისტემის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი განსაზღვრებების (მაგ. კულტურული ლანდშაფტი, კულტურული სივრცე, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა, ურბანული მემკვიდრეობა, ისტორიული მემკვიდრეობა, ინდუსტრიული მემკვიდრეობა, კინომემკვიდრეობა, ლიტერატურული მემკვიდრეობა, აგრარული მემკვიდრეობა, ციფრული მემკვიდრეობა და სხვ.) გათვალისწინება;

[21] მაგ. ისტორიული მაღაზია, კაფე, რესტორანი, სასტუმრო, კინოთეატრი და სხვა.

- ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება (მაგ. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ცნობიერების ამაღლების და გადამზადების პროგრამების შემუშავება და სხვა.) და გაძლიერება;
- პასუხისმგებლობების გადანაწილება, გამიჯვნა და ძალისხმევის კოორდინაცია სხვადასხვა ინსტიტუტსა და დაინტერესებულ მხარეს (მაგ. სახელმწიფო და კერძო მფლობელი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, სხვა რელიგიური კონფესიები და ა.შ.) შორის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხთან დაკავშირებით;
- მატერიალური, არამატერიალური და ბუნებრივი მემკვიდრეობის (მათ შორის, საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის და ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის) გამოვლენა, ინვენტარიზაცია, კატეგორიების განსაზღვრა, კლასიფიკაცია, სააღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა, რეესტრის წარმოება და რუკაზე დატანა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სფეროს ორგანიზაციებს შორის ქსელებისა და კავშირების განვითარების, ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარების მხარდაჭერა;
- მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის გაციფრულება, კატალოგების შექმნა/განვითარება;
- არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის საზღვრებს გარეთ; კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის (გაცვლითი პროგრამები, რეზიდენციები, კვლევითი ლაბორატორიები) მხარდაჭერა;
- კულტურული მემკვიდრეობის არქეოლოგიური საკვლევაძიებო სამუშაოების მხარდაჭერა, კვლევის პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წახალისება;
- თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევებით აღჭურვილი ექსპერტიზის, სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიის ჩამოყალიბება;
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ცალკეული მიმართულებების, სპეციფიკური ცოდნისა თუ ტრადიციის, უნიკალური ლანდშაფტის, ფლორის, ფაუნის და სხვა თავისებურების სრულად წარმოჩენის მიზნით, შესაბამისი მექანიზმების შემუშავება მცირე და საშუალო მასშტაბის მუზეუმების განვითარება, პროექტების, გამოფენების ორგანიზება და ა.შ.;
- საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის წარმოჩენა და საერთაშორისო პოპულარიზაცია სხვადასხვა მექანიზმის (უცხოურენოვანი გამოცემები და ვებ-გვერდები, იუნესკოს ნომინაციების და ა.შ.) გამოყენების საშუალებით;

- მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური დაცვა (რესტავრაცია, კონსერვაცია, რეაბილიტაცია) საერთაშორისო სტანდარტებსა და შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით;
- კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისადმი ინტეგრირებული მიდგომის გამოყენება; ქალაქთმშენებლობის, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტაციასა და რეგიონის განვითარების სტრატეგიებში კულტურული ღირებულების მქონე შენობების, კომპლექსების, კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების, ლანდშაფტების და სივრცეების დაცვის საკითხების გათვალისწინება;
- ტრადიციული არქიტექტურის დაცვა და კონსერვაცია შესაბამისი ცოდნისა და უნარების (მშენებლობის, თბო და ჰიდროიზოლაციების ტრადიციული წესები და ტექნიკა, ტრადიციული მასალების იდენტიფიცირება და დამუშავება, ტრადიციული გამწვანება, ლანდშაფტები და ქალაქთმშენებლობა და ა.შ.) შემდგომი თაობებისთვის გადაცემის მხარდაჭერა და პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა მათი ქალაქთმშენებლობის, რესტავრაციისა და გამწვანების პროექტებში ინტეგრირების გზით;
- ისტორიულად ჩამოყალიბებული ბიზნეს-კლასტერებისა და კონკრეტული ურბანული სივრცისთვის დამახასიათებელი საქმიანობის სახეების (მაგ. ტრადიციული მეწარმეობის[22] პროდუქტით, ბუკინისტური წიგნებით, ანტიკვარიატით, ნუმიზმატიკური ფასეულობებით ვაჭრობა და სხვ.) შენარჩუნების, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა სახის მექანიზმების განვითარება (ბიზნესგანვითარების პროგრამების შემუშავება, თემატური ფესტივალების ორგანიზება და ა.შ.);
- კულტურული ფასეულობებით ვაჭრობის ლეგალური ბაზრის, საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის ეფექტური კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების (მაგ. რეესტრი, აუქციონები და სხვ.) განვითარება, არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, დაკარგული ან ქვეყნიდან უკანონოდ გატანილი კულტურული ფასეულობების საქართველოში დაბრუნების ერთიანი სისტემის შექმნა, საერთაშორისო თანამშრომლობის (ინტერპოლთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფოებთან) გაღრმავება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მესაკუთრისთვის დაბრუნების მიზნით;
- კერძო კოლექციებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის (მაგ. არტეფაქტები, აუდიო და ვიზუალური მასალები, ხელნაწერები და ა.შ.) მოძიება, აღნუსხვა, გაციფრულება და სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნიმუშების გამოსყიდვა;
- რისკების მართვის გეგმის შემუშავება და პრევენციული ღონისძიებების გატარება კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი კატასტროფებისა და ადამიანის ქმედებით გამოწვეული საფრთხეებისგან დასაცავად (მაგ. საევაკუაციო გეგმა ომიანობის თუ ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევაში და სხვ.);

[22] ტრადიციული მეწარმეობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის (ინდივიდი, ოჯახი, თემი) მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პრაქტიკაში დამკვიდრების პროცესია, რომელიც მიზნად ისახავს მატერიალური პროდუქციის შექმნას (მაგ. ქვევრის ღვინო, ოქრომკედით ნაქარგობა) სარეალიზაციოდ ან საკუთარი მოხმარების მიზნით;

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოებისა და მისი მოვლა-პატრონობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ერთიანი ინსტრუქციების, გზამკვლევების გავრცელების გზით;
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი და გამქრალი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის აღდგენა, პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა და მის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
- ეროვნული ფოლკლორის – ხალხური მუსიკის, ქორეოგრაფიისა და ზეპირსიტყვიერების, ტრადიციული თამაშობებისა და მედიცინის თუ სხვა მიმართულებების დაცვის, შენარჩუნების, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, კვლევების ხელშეწყობა;
- ქართულ ტრადიციულ საშემსრულებლო ხელოვნებასთან, საზოგადოებრივ პრაქტიკებთან და ხელოსნობასთან დაკავშირებული ნივთებისა (ინსტრუმენტები, არტეფაქტები, საყოფაცხოვრებო საგნები და სხვ.) და სივრცეების დაცვა;
- ტრადიციული ხელოსნობის, მისი გამოხატვის მრავალფეროვანი ფორმების, შესაბამისი ცოდნისა და უნარების შემდგომი თაობებისთვის გადაცემის მხარდაჭერა და პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა;
- ქართველურ ენათა (ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური) და კილოთა, ქართული დამწერლობისა და ანბანის კვლევისა და შენარჩუნების (ქართული ანბანის სამივე სახეობისთვის კომპიუტერული შრიფტების შექმნის, ინტერნეტსივრცეში ენებისა და ანბანების აქტიური გამოყენების) ხელშეწყობა[23];
- საფრთხის წინაშე მყოფი ენების (განსაკუთრებით აფხაზური ენის), როგორც ქართული იდენტობის ნაწილის, ასევე, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, დაცვისა და განვითარების მხარდაჭერა.

[23] წინამდებარე დოკუმენტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ქართველური ენების (ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური) და აფხაზური ენის, ასევე, ანბანის სამი სახეობის დაცვა და შენარჩუნება მოიაზრებოდა, რამდენადაც, ქართული ენა და ანბანის სამი სახეობა არის საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და კულტურისა და შემოქმედების განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. ამასთან, საქართველოს იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში წარდგენილი აქვს ნომინაცია „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“. კონვენციის მოთხოვნების თანახმად, ამ ნომინაციას უკვე გააჩნია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი, რაც თავის თავში გულისხმობს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებლობებს. თუმცა, იმის გამო, რომ სტრატეგიის შემუშავების პროცესის პარალელურად, სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვრა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, სახელმწიფო ენის ერთიანი პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს დაფუძნება, რომელსაც ევალება სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის შემუშავება, ენის საკითხი, პირდაპირ და ფართოდ აღარ არის ასახული კულტურის სტრატეგიული მიმართულებების ჩამონათვალში, თუმცა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით თანამშრომლობს, როგორც სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან, ასევე, სხვა ორგანიზაციებთან.

კულტურული ტურიზმი

- ტურიზმის მდგრად განვითარებაში კულტურული რესურსის (მაგ. არამატერიალური, მატერიალური და ბუნებრივი მემკვიდრეობა, გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები, სახალხო დღესასწაულები და სხვ.) ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა და მისი გამოყენება უნიკალური, ავთენტური და საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი ტურისტული შთაბეჭდილების შესაქმნელად;
- კულტურის ობიექტების მენეჯერებისა და ტურიზმის ინდუსტრიებისთვის გადამზადების პროგრამების შემუშავება ტურისტული ბაზრის, შესაბამისი ტენდენციების, ტურისტული მარკეტინგის, ასევე, სხვადასხვა კულტურული რესურსის მნიშვნელობის და ტურიზმის განვითარებაში მისი გამოყენების შესაძლებლობების, კულტურული ტურიზმის ეკონომიკის, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების და სხვა შესაბამისი საკითხების შესახებ;
- კოორდინაციის გაძლიერება სახელისუფლებო ორგანოებს, ტურიზმის, კრეატიული ინდუსტრიის წარმომადგენლებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კულტურული ტურიზმის, მისი ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოძიების და კვლევებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;
- კულტურული ტურიზმის განვითარების მიზნით საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეწყობა (მაგ. საკანონმდებლო ინიციატივების, საინტვესტიციო პაკეტების, პარტნიორობის მოდელების შემუშავება, ქვეყნის ცნობადობისთვის მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა, ბრენდ-პაკეტების შემუშავება, საერთაშორისო დონორთა დახმარების პროგრამების გამოყენება და სხვ.);
- ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურული მარშრუტების განვითარება (მატერიალური, არამატერიალური და ბუნებრივი მემკვიდრეობის მარშრუტები შესაბამისი საინფორმაციო-საორიენტაციო მანიშნებლებით, ბილიკებით და ა.შ.) და საქართველოს ჩართვა საერთაშორისო კულტურული მარშრუტების პროგრამებში (მაგ. „ევროპის კულტურული მარშრუტების პროგრამა“, გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის „აბრეშუმის გზის პროგრამა“ და ა.შ.);
- შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლებზე და გარემოზე ტურიზმის უარყოფითი გავლენის შემცირების, ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური სარგებლის გაზრდის მიზნით.



ბიბლიოთეკები და არქივები

- საბიბლიოთეკო სფეროს სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების გაუმჯობესება, ბიბლიოთეკარის სტანდარტებისა და სერტიფიცირების წესების შემუშავება, შესაბამის მხარეებს შორის კოორდინაციის გაღრმავება და პასუხისმგებლობების გადანაწილება;
- ბიბლიოთეკებში ფონდების გამდიდრების, მომსახურებათა დახვეწის, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების (მაგ. მობილური ბიბლიოთეკები) დანერგვისა და გამოყენების მხარდაჭერა;
- ბიბლიოთეკების ხელშეწყობა კოლექციებისა და საარქივო მასალების გაციფრულების, ინტერნეტ-ბიბლიოთეკების განვითარების პროცესში, რაც გაზრდის სხვადასხვა მასალაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკების ონლაინ სასწავლო ცენტრებად ჩამოყალიბებას;
- თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად, ბიბლიოთეკების მრავალფუნქციურ დაწესებულებად ჩამოყალიბება სხვადასხვა პარტნიორ სტრუქტურებთან (მაგ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სერვისების განვითარების სააგენტო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტები, საბიბლიოთეკო ასოციაცია და სხვ.) თანამშრომლობის გზით, რაც, ბიბლიოთეკის ძირითად საქმიანობასთან ერთად, უზრუნველყოფს სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობას, სოციალიზაციას, საჯარო მომსახურებათა ხელმისაწვდომობას და სხვ.;
- ბიბლიოთეკების მხარდაჭერა კითხვის ჩვევის განვითარებისა და კითხვის პოპულარიზაციის პროგრამების შემუშავებაში, საზოგადოების განათლების ხელშეწყობის მიზნით;
- სხვადასხვა სახის ეროვნული ლიტერატურისა და მასალის (ხელნაწერები, მუსიკალური ჩანაწერები და ნოტები და სხვ.) ერთიანი საცავების შექმნა და მასზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- არქივებში კოლექციებისა და მასალების გაციფრულების ხელშეწყობა და სხვა მექანიზმების შემუშავება კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და დაცვის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;
- არქივებსა და სახელმწიფო, საგანმანათლებლო, კვლევით თუ სხვა ტიპის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, არქივებში დაცული კულტურული ფასეულობების, მასალების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მათი გამოყენების წახალისების მიზნით.

მუზეუმები

- მუზეუმების განვითარების მიზნით, პროფესიული ცოდნისა და სამუზეუმო პრაქტიკის გაზიარება ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობით და მუზეუმების კადრების გადამზადების პროგრამების შემუშავება (აუდიტორიის განვითარება, უცხოური ენა, პარტნიორებისა და ფონდების მოძიება, სპეციალურ საჭიროებათა მქონე ჯგუფებთან ურთიერთობა, სტრატეგიული დაგეგმვა, მარკეტინგი და სხვ.);
- მუზეუმების პოპულარიზაციის მიზნით ახალი ინიციატივების დანერგვა (მაგ. ღამე მუზეუმში, ღია კარის დღე, მუზეუმი სკოლაში და სხვ.);
- საქართველოს ერთიანი სამუზეუმო ფონდის დაცვის და შევსების მხარდაჭერა კულტურული ფასეულობების, მათ შორის, ექსპონატების, არტეფაქტების, გადარჩენისა და ქვეყნიდან გადინების თავიდან აცილების მიზნით;
- მუზეუმების წახალისება ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციური მეთოდების, ინტერაქტიული ელექტრონული მომსახურების, მრავალფეროვანი პროგრამული აპლიკაციების განვითარებასა და გამოყენებაში, სხვა მუზეუმებთან, კულტურის სექტორის ინსტიტუტებთან, უნივერსიტეტებთან და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის გზით;
- სამუზეუმო კოლექციების გაციფრულების და შესაბამისი ინტერნეტპლატფორმების საშუალებით ვირტუალური მუზეუმების შექმნა და განვითარება, კვლევის წახალისების, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდის, ვიზიტორთა მოზიდვის და საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით;
- მუზეუმის, როგორც საზოგადოებრივი სივრცის, საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულების განვითარების მხარდაჭერა, სხვადასხვა სახის პროგრამების, მათ შორის, საბავშვო თუ მოზარდთა პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის გზით;
- თემატური მუზეუმების დაარსებისა და განვითარების ხელშეწყობა;
- მუზეუმების მხარდაჭერა, მაღალი დონის სარესტავრაციო ცენტრების შექმნასა და განვითარებაში.

ტრადიციული რეწვა

- ქართული ტრადიციული რეწვის განვითარებისა და საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაციის ხელშეწყობა (მაგ. საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება, ოსტატთა გამოვლენა და ერთიანი საჯარო საინფორმაციო ელექტრონული ბაზის შექმნა, რეწვის სახელოსნოების განვითარება, შესაბამისი გამოცემების ხელშეწყობა, გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.);
- საქართველოში არსებული რეწვის უძველესი ტექნოლოგიების კვლევისა და ცოცხალი და მივიწყებული ტრადიციების რესურსის გამოყენებით ეკონომიკურად მდგრადი მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
- ტრადიციული რეწვის მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის ოსტატთა გადამზადების სხვადასხვა პროგრამის (მარკეტინგი, საავტორო უფლებების დაცვა და ა.შ.) შემუშავება და პროდუქციის სადისტრიბუციო ქსელის განვითარების ხელშეწყობა.

არქიტექტურა

- არქიტექტურის, როგორც სინთეზური დარგის, კულტურული, შემოქმედებითი და ესთეტიკური ღირებულების წარმოჩენა. ერთი მხრივ, მისი ინსტიტუციური და სამართლებრივი დამკვიდრება კულტურის სექტორში, მეორე მხრივ, მისი, როგორც კულტურული რესურსის, გათვალისწინება ეკონომიკურ და სამშენებლო პოლიტიკაში;
- სივრცითი მოწყობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, ინტეგრირებული კონსერვაციისა და ენერგოეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინება, გარემოს შესაფერისი თანამედროვე არქიტექტურის შექმნა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება;
- კულტურულ ლანდშაფტში არქიტექტურული ჩარევის პროცესის „კარგი მმართველობის“ პრინციპების მიხედვით წარმართვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექსპერტებისა და პროფესიონალების, ინტერესთა ჯგუფების[24] მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- სივრცითი დაგეგმარების, შესაბამისი ექსპერტიზისა და სტანდარტების, არქიტექტორთა ლიცენზირების საკითხების სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების გაუმჯობესება და კანონის აღსრულების გაძლიერება;
- არქიტექტურული ნაგებობების სტანდარტების გასაუმჯობესებლად კერძო სექტორის მოტივაციის ამაღლება და წახალისება (კონკურსის, დაჯილდოების და სხვა მექანიზმების გამოყენებით);
- ქართველი არქიტექტორების საერთაშორისო არქიტექტურულ ღონისძიებებსა თუ კონკურსებში მონაწილეობისა და უცხოურ არქიტექტურულ სააგენტოებში გამოცდილების მიღების მხარდაჭერა.

[24] სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ გავლენის მოხდენას სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებაზე, ამასთან არ აცხადებენ პრეტენზიას სახელმწიფო პოსტებზე. განასხვავებენ ჯგუფებს, რომლებიც თავიანთ ინტერესებს იცავენ (მაგ. პროფესიული კავშირები) და იმ ჯგუფებს, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური კურსის მხარდამჭერები არიან (მაგ. გარემოს დამცველები).

აუდიოვიზუალური სექტორი

- აუდიოვიზუალური პროდუქციის წარმოების, პოსტპროდუქციისა და დისტრიბუციისთვის საჭირო სხვადასხვა მომსახურებისა და პროფესიის განვითარება;
- აუდიოვიზუალური სექტორის საქმიანობის რეგულირების მექანიზმების (სალაროს შემოსავლების საჯაროობა, ასაკობრივი ცენზის განსაზღვრა, გახმოვანების ხარისხი და ა.შ.) შემუშავება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების (ევროკავშირის დირექტივა აუდიოვიზუალური მედიის სერვისების შესახებ [25]) გათვალისწინებით;
- საქართველოს, როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ქვეყნის პოპულარიზაცია და საერთაშორისო კოპროდუქციების ხელშეწყობა, საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების, საკანონმდებლო რეგულაციებისა და შეღავათების (მაგ: cash rebate, tax rebate, საკრედიტო შეღავათები, სადაზღვევო პაკეტები და ა.შ.) შემუშავების გზით;
- ეროვნული სინემათეკის დაარსება კინომემკვიდრეობის შენარჩუნებისა და თავმოყრის, ქართული და მსოფლიო კინოხელოვნების ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით;
- კინოჩვენებისთვის მულტიფუნქციური კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების და/ან შესაბამისი კინოდარბაზების, კინოჩვენების ალტერნატიული საშუალებების (მაგ. მობილური კინოთეატრი) განვითარების ხელშეწყობა;
- აუდიოვიზუალურ სექტორში ვიზუალური და ხმოვანი ეფექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაბამისი ადამიანური და ტექნიკური რესურსის მობილიზება – სპეციალისტთა გადამზადების პროგრამებისა და წახალისების მექანიზმების შემუშავება, შესაბამისი სივრცეებისა და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა და სხვ.;
- მულტიმედიისა და თამაშების ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა ახალი ბიზნესმოდელების შემუშავებისა და ვიდეო თამაშების ინდუსტრიის ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების (ონლაინპლატფორმები, საერთაშორისო ქსელები და სხვ.) გამარტივების გზით.



[25] ევროკავშირის დირექტივა აუდიოვიზუალური მედიასერვისების შესახებ N2010/13/EU. (2010, მარტი 10). მოპოვებულია ივნისი 2016, eur-lex.europa.eu: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX%3A32010L0013&from=EN - დან.

დიზაინი

- პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების, ბიზნესსექტორის და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დიზაინის, როგორც ხელოვნების, ინოვაციის, ბიზნესის, შემოქმედებითობისა და ტექნოლოგიების დამაკავშირებელი ინტერდისციპლინური დარგის, მისი კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ღირებულებების შესახებ;
- დიზაინერების, მკვლევარების, ტექნოლოგების, ინჟინრებისა და მეწარმეებისთვის ინტეგრირებული პლატფორმების შექმნა ერთობლივი ინოვაციური პროდუქტის განვითარების და რეალიზაციის მიზნით;
- ეროვნული დიზაინის განვითარებისა და მისი საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა სახის დიზაინის (მაგ. სივრცითი, მოდის, სამრეწველო და სხვ.) კომპანიების გაძლიერება და მათი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდა (მაგ. ბიზნესუნარების განვითარება, ახალი ბიზნესმოდელების შემუშავება, ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის, კლასტერებში გაერთიანების ხელშეწყობა, დიზაინის და მოდის ფესტივალების ორგანიზების მხარდაჭერა და სხვ.);
- დიზაინის სფეროში ეროვნული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციული ელემენტების, თემატიკის (მაგ. ტრადიციული სამოსი, ორნამენტი, ჩუქურთმა, ნაქარგობა და სხვ.) კვლევისა და მათი დიზაინის ინდუსტრიაში გამოყენების ხელშეწყობა.

ლიტერატურა და გამომცემლობა

- მოსახლეობაში, განსაკუთრებით ბავშვებში და მოზარდებში, კითხვის უნარ-ჩვევებისა და წიგნიერების განვითარებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციასთან (მაგ. ეროვნული ბიბლიოთეკა, მწერალთა სახლი, ლიტერატურის მუზეუმი, სერვისების განვითარების სააგენტო და სხვ.) თანამშრომლობა და სპეციალური პროექტებისა და ღონისძიებების (მაგ. შემოქმედებითი საღამოები, ლიტერატურული კონკურსები, წიგნის ფესტივალები, მოძრავი ბიბლიოთეკები, მწერლებთან შეხვედრები და ა.შ.) მხარდაჭერა;
- ეროვნული ლიტერატურის, მათ შორის ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მიზნით, ახალი ნაწარმოებების შექმნის, გამოცემის, სხვადასხვა ენაზე თარგმნისა და ხელმისაწვდომობისათვის ხელსაყრელი პირობებისა და მექანიზმების შექმნა. ქართველი მწერლებისთვის სარეზიდენციო პროგრამების დანერგვა;
- ქართული ლიტერატურის განვითარებისა და საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, გამოფენებსა და კონკურსებში მონაწილეობის მხარდაჭერა (მაგ. ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობა[26]);
- შემოქმედებითი წერის სწავლების მხარდაჭერა განათლების ყველა საფეხურზე და ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარების წახალისება;
- საბავშვო ლიტერატურის (მათ შორის, ილუსტრირებული, ინტერაქტიული ლიტერატურის და სხვა) განვითარების ხელშეწყობა დაფინანსების სპეციალური მექანიზმების (სპეციალური პროექტები, კონკურსები და ა. შ.) საშუალებით;
- ქართული ლიტერატურის სხვა ენებზე და უცხოური ლიტერატურის ქართულად თარგმნის ხელშეწყობა, ქართული ლიტერატურის უცხოურ ენებზე მთარგმნელთა გადამზადება და მთარგმნელთა პროფესიული ქსელების განვითარება;
- წიგნის გავრცელების ქსელის განვითარების მიზნით, ადგილობრივი ბაზრის შესწავლა და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად, წიგნის ხარისხის კონტროლისა და გამომცემლობების და დისტრიბუტორების წახალისების მექანიზმების შემუშავება;
- გამომცემლობების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა სახის ლიტერატურის, მათ შორის, კულტურის, სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების ხელშეწყობა;
- ელექტრონული წიგნის განვითარების, მისი გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი გადამზადების პროგრამების შემუშავება, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით.

[26] 2018 წელს, საქართველო არის ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის საპატიო სტუმარი.

მუსიკა

- სამუსიკო განათლების სფეროს სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების დახვეწა სამუსიკო განათლების უწყვეტი და თანმიმდევრული სისტემის შექმნის მიზნით, რაც უზრუნველყოფს, ზოგადი განათლების პარალელურად, პროფესიული საშემსრულებლო უნარებისა და აზროვნების ჩამოყალიბებას, დაოსტატებას განათლების საბაზისო საფეხურიდან უმაღლესი განათლების საფეხურის ჩათვლით. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება (სასწავლო სტანდარტებისა და სწავლების მეთოდოლოგიის დადგენა, მათი პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, განსაკუთრებით, რეგიონებში და სხვ.);
- სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს (საკრავები, სასწავლო მასალები, ნოტები, და ა.შ.) განვითარების ხელშეწყობა;
- ეროვნული პროფესიული საშემსრულებლო და საკომპოზიტორო შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეგროვების, აღნუსხვის, გამოქვეყნებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- ეროვნულ კომპოზიტორთა შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია (მაგ. სახელმწიფო მუსიკალური კოლექტივების რეპერტუარში თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების ახალი, შეუსრულებელი ნაწარმოების გათვალისწინების, მუსიკალური კრიტიკის წახალისება, თემატური კონკურსების გამოცხადება საუკეთესო ახალი მუსიკალური ნაწარმოების გამოსავლენად და სხვ.);
- ეროვნულ კომპოზიტორთა და მუსიკოს-შემსრულებელთა პროფესიული განვითარების მიზნით მუსიკის სფეროში, განსაკუთრებით კლასიკურ მუსიკაში, სხვადასხვა ღონისძიების, ფესტივალის, კონკურსის, მასტერკლასის ჩატარების, ასევე, საერთაშორისო ღონისძიებებში (კონკურსები, ფესტივალები, ბაზრობები, რეზიდენციები და სხვ.) ქართველი მუსიკოსების მონაწილეობის მხარდაჭერა;
- მუსიკალური ინდუსტრიის (საგამომცემლო, ხმის ჩამწერი, საპროდიუსერო კომპანიების, სადისტრიბუციო ქსელის და სხვ.) განვითარების ხელშეწყობა (მაგ. ახალი ბიზნეს-მოდელების, ახალი ტექნოლოგიების, შესაბამისი პროფესიებისა და მომსახურებების განვითარება, ქსელებსა და კლასტერებში გაერთიანებისა და კოპროდუქციის მხარდაჭერა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გამკაცრება, საშეღავათო მექანიზმების შემუშავება და სხვ).



სადადგმო და სანახაობითი ხელოვნება

- სადადგმო და სანახაობით ხელოვნებაში საკანონმდებლო-მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფა, სფეროს ეფექტური მართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- ეროვნული დრამატურგიის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია (მაგ. სახელმწიფო თეატრების რეპერტუარში თანამედროვე ქართველ დრამატურგთა ახალი ნაწარმოებების გათვალისწინება, თემატური კონკურსების გამოცხადება საუკეთესო ახალი პიესის გამოსავლენად, თეატრალური კრიტიკის წახალისება და სხვ.);
- სადადგმო და სანახაობითი ხელოვნების სფეროში პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიების, ფესტივალის, მასტერკლასის ჩატარების, ასევე, საერთაშორისო ღონისძიებებში (კონკურსები, ფესტივალები, რეზიდენციები და სხვ.) ქართველი მსახიობების, რეჟისორების, დრამატურგების, ქორეოგრაფების და სხვ. მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ქორეოგრაფიული განათლების უწყვეტი და თანმიმდევრული სისტემის განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო სტანდარტებისა და სწავლების მეთოდოლოგიების დახვეწა, პედაგოგთა ლიცენზირების და სერტიფიცირების სტანდარტების სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების გაუმჯობესება;
- ქორეოგრაფიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო გარემოს (სასწავლო ინვენტარი და მასალები) განვითარების ხელშეწყობა;
- საცირკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების სისტემაში საცირკო განათლების გათვალისწინებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობით.



სახვითი ხელოვნება

- სამხატვრო განათლების ეფექტური სისტემის განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამხატვრო განათლების სფეროს სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების დახვეწა, სასწავლო სტანდარტებისა და სწავლების მეთოდების დადგენა და სხვ.;
- სამხატვრო საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების (სამხატვრო ინვენტარით, სასწავლო მასალებით და ა.შ. უზრუნველყოფა) ხელშეწყობა;
- სამხატვრო სკოლების სისტემის შექმნა და დახვეწა პროფესიული უნარებისა და აზროვნების განვითარების, დაოსტატების მიზნით;
- ხელოვანთა წახალისების მიზნით შესაბამისი მექანიზმების შემუშავება (მაგ. თემატური პროექტების, კონკურსების მხარდაჭერა, დაჯილდოება და ა.შ.);
- გალერეის თანამშრომელთა, კურატორთა და ხელოვნების კონსულტანტთათვის ბიზნესუნარებისა და ბიზნესმოდელების განვითარების ხელშეწყობა, სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციისა და ჯანსაღი შიდა ბაზრის განვითარების მიზნით;
- სახვითი ხელოვნების რეზიდენციებისა და გალერეების განვითარების, პერიოდული ღონისძიებების ჩატარების, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა საერთაშორისო ხელოვანებისა და კურატორებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნის მიზნით;
- შესაბამისი მულტიფუნქციური კულტურის ინფრასტრუქტურის – თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შექმნა სახვითი ხელოვნების დაცვის, წარმოჩენისა და ხელოვანთა ადგილობრივი და საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით.



მედია და მაუწყებლობა

- მედიის პოტენციალის გამოყენება კულტურის, კულტურული მრავალ-ფეროვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესება და მექანიზმების შემუშავება, კულტურის მედიასაშუალებების (მათ შორის, კულტურის არხი, ონლაინგამოცემა, ბლოგი და ა.შ.) დაფუძნებისა და განვითარების, რეგიონულ, კერძო კომერციულ და არაკომერციულ მედიასაშუალებებში კულტურისმიერი პროდუქტის შექმნის, კულტურის აქტიური გაშუქების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით;
- შესაბამისი მექანიზმების (მაგ. ფინანსური მხარდაჭერა კინოწარმოებაში, სატელევიზიო და რადიოსპექტაკლებისა და ტელეფილმების წარმოება) შემუშავება საზოგადოებრივი მაუწყებლების მიერ კულტურისმიერი პროდუქტის შექმნისა და გავრცელების მიზნით;
- ეთნიკური უმცირესობებისთვის კულტურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საზოგადოებრივი მაუწყებლის სპეციალური პროგრამების შემუშავება, როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე;
- უმაღლესი სასწავლებლების მხარდაჭერა კულტურის ჟურნალისტიკის პროგრამების განვითარებაში და ჟურნალისტთა გადამზადების ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- პროფესიული კრიტიკის განვითარების მხარდაჭერა კულტურული ცხოვრების ანალიზის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და კულტურის მუშაკებს შესთავაზებს საკუთარი შემოქმედების შეფასების შესაძლებლობას.

სტრატეგიის განხორციელება

მონიტორინგი და შეფასება

საქართველოს კულტურის სტრატეგია ათწლიანია, საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას და განახლებას დასახული მიზნების განსახორციელებლად. სტრატეგიის განახლების საფუძველი იქნება კულტურის სექტორის ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შედეგად გამოკვეთილი ალტერნატიული ხედვა და მიღებული გადაწყვეტილებები.

კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის დამტკიცების შემდგომ, შემუშავდება მისი განხორციელების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ყოველი წლის ბოლოს მოხდება სამოქმედო გეგმის შეფასება და შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში აქტივობების განახლება.

კულტურის სტრატეგიის განხორციელების კოორდინაციაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომელიც ყოველწლიურად აწარმოებს აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებულ ცვლილებებზე დაკვირვებასა და შედეგების შეფასებას. სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების განხორციელების მექანიზმის – სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის წარდგენა მოხდება წელიწადში ორჯერ.

საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს ინიცირებით შეიქმნება „სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფი“, რომელიც სამინისტროსთან ერთად აწარმოებს მონიტორინგს სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაზე და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ჯგუფის წევრები შეირჩევა როტაციული პრინციპით.

სტრატეგიის განხორციელების პროცესის შუალედურ (2020 წლისათვის) და დასკვნით ფაზებში (2025 წლისთვის) მიღწეული შედეგების შესაფასებლად, მომზადდება სტრატეგიის განხორციელების შუალედური და საბოლოო ანგარიშები.

ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო რეგულარულად იმუშავებს სამთავრობო უწყებებთან და მუნიციპალიტეტებთან, საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტის კულტურის სტრატეგიასთან ჰარმონიზაციისა და სინერგიის მიზნით.

რისკების ანალიზი

რისკების ანალიზის გრაფა

გ რ ა ფ ა N 1



ცხრილი N1 - საფრთხის ალბათობა/გავლენა

საფრთხის ალბათობა (1-5)		საფრთხის გავლენა (1-5)	
კოეფიციენტი	მნიშვნელობა	ქულა	მნიშვნელობა
1	ალბათობა ძალიან მცირეა	1	სტრატეგიის განხორციელების პროცესისთვის მიყენებული ზიანი ძალიან დაბალია
2	ალბათობა ნაკლებად სავარაუდოა	2	სტრატეგიის განხორციელების პროცესისთვის მიყენებული ზიანი დაბალია
3	ალბათობა 50%-ია	3	სტრატეგიის განხორციელების პროცესისთვის მიყენებული ზიანი საშუალოა
4	ალბათობა სავარაუდოა	4	სტრატეგიის განხორციელების პროცესისთვის მიყენებული ზიანი მაღალია
5	ალბათობა 100%-ია	5	სტრატეგიის განხორციელების პროცესისთვის მიყენებული ზიანი ძალიან მაღალია

ა) საფრთხის ალბათობა – რამდენად მაღალია ალბათობა იმისა, რომ კონკრეტული მოვლენა მოხდება. ალბათობა ფასდება კოეფიციენტით 1-დან 5-მდე;

ბ) საფრთხის გავლენა – რამდენად მნიშვნელოვანია მოვლენის უარყოფითი გავლენა კონკრეტულ პროცესზე. გავლენა ფასდება ქულით 1-დან 5-მდე;

ალბათობისა და გავლენის ქულების ნამრავლის შედეგად ვიღებთ შეწონილ რისკს. შეწონილი რისკის მაჩვენებელი მერყეობს 1-დან 25 ქულამდე.

ცხრილი N2- რისკების ანალიზი [საფრთხის ალბათობა* საფრთხის გავლენა = რისკი]

რისკის ტიპი*	რისკის N	საფრთხე
პოლიტიკური	რ1	სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში კულტურის საკითხების ნაკლებპრიორიტეტულობა
	რ2	მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები და შესაბამისად სტრატეგიის წინასწარგანსაზღვრული პროცესის შეცვლა/შეფერხება
	რ3	საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგობა დოკუმენტით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან მიმართებაში
	რ4	აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი უწყებების წინააღმდეგობა დოკუმენტით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან მიმართებაში
	რ5	დაინტერესებული მხარეების, ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკური წინააღმდეგობა დოკუმენტით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან მიმართებაში
არასასურველი გვერდითი ეფექტები	რ6	სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების პროცესში, საზოგადოების ნაწილის, კონკრეტული სამიზნე ჯგუფების ინტერესებზე უარყოფითი ზეგავლენა (მაგ. საავტორო უფლებების დაცვის საკითხების გამკაცრება, ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოს პროცედურათა გამკაცრება და ა.შ.)
ინსტრუმენტული	რ7	აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი უწყებების წინა-აღმდეგობა დოკუმენტით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან მიმართებაში
	რ8	სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულ ორგანიზაციათა არაეფექტურობა, მართვის მოძველებული სტილი და ბიუროკრატიული მექანიზმების სირთულე
	რ9	სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულ ორგანიზაციათა ადამიანური რესურსების სიმცირე ან/და კვალიფიკაციის ნაკლებობა
	რ10	სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულ ორგანიზაციათა ტექნიკური რესურსების გაუმართაობა და სიმწირე
ოპერაციული	რ11	სტრატეგიით განსაზღვრულ ამოცანათა შესრულებისთვის საჭირო აქტივობების მაღალი საფასური
	რ12	სტრატეგიით განსაზღვრულ ამოცანათა შესრულებისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების რაოდენობა და სირთულე
ეკონომიკური სტაბილურობის	რ13	ეკონომიკური რყევები და ბიუჯეტის დეფიციტი

ალბათობა (1-5)	გავლენა (1-5)	შეწონილი რისკი (1-25)	**საპასუხო ქმედება
4	5	20	რისკის შემცირება/ გაზიარება
2	5	10	რისკის შემცირება/ გაზიარება
1	4	4	რისკის გაზიარება/ შემცირება
3	4	12	რისკის გაზიარება/ შემცირება
3	3	6	რისკის გაზიარება/ შემცირება
2	4	8	რისკის გაზიარება
3	2	6	რისკის შემცირება
3	3	9	რისკის შემცირება
4	3	12	რისკის შემცირება
3	2	6	რისკის შემცირება
2	4	8	რისკის მიღება
4	4	16	რისკის მიღება
2	4	8	რისკის მიღება



ა) პოლიტიკური: პოლიტიკური რისკების ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი რისკები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას საჯარო პოლიტიკის ციკლში, როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე კონკრეტული ქმედების განხორციელების პროცესში. აღნიშნული რისკების წარმოშობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზოგადი პოლიტიკური პროცესები, საზოგადოების განწყობა, აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია რაციონალური არჩევანის თეორიის[27] ასპექტები და მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ანალიზის ჩატარება;

ბ) არასასურველი გვერდითი ეფექტები: შესაბამისი რეფორმა შესაძლოა საკმაოდ ხისტად ეხებოდეს საზოგადოების შეხედულებებს, მათ მიერ დაგროვილ გამოცდილებას რომელიმე საკითხის მიმართ. ასეთი შეიძლება იყოს მაგ. საავტორო უფლებების საკითხები. კანონის გამკაცრებას, მისი აღსრულების გაძლიერებას შესაძლოა ჰქონდეს არასასურველი გვერდითი ეფექტი ფართო საზოგადოებაზე, რადგანაც მათ შეეზღუდებათ თავისუფალი წვდომა შესაბამის პროდუქტზე;

გ) ინსტრუმენტული: ინსტრუმენტული რისკები ეხება სტრატეგიის განხორციელების პროცესში ჩართულ ორგანიზაციათა სიმრავლეს და შესაბამისი ადამიანური თუ ტექნიკური რესურსის სისუსტეს;

დ) ოპერაციული: ოპერაციული რისკების კატეგორიაში ხვდება იმ ამოცანებთან დაკავშირებული რისკები, რომელთა განხორციელებაც საჭიროებს განსაკუთრებულ, კომპლექსურ მიდგომას, მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი ცვლილებების განხორციელებას ან/და აქვს მაღალი საფასური. მაგ. კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილების მიღება, შესაძლოა მოითხოვდეს პარალელურად რამდენიმე საკანონმდებლო აქტში ცვლილების განხორციელებას;

გ) ეკონომიკური სტაბილურობის: აღნიშნული რისკები დაკავშირებულია გარე ფაქტორებთან, რომლებიც შესაძლოა იყოს ქვეყანაში არსებული ზოგადი ეკონომიკური ფონი, ეკონომიკური კრიზისები და ა.შ.

[27] თეორია, რომელიც სოციალური სისტემისა და კოლექტივის ინტერესებს უგულებელყოფს და ამოსავლად ინდივიდის კერძო ინტერესებს აცხადებს (ჯ. კოლემანი, ჯ. ელსტერი, მ. ჰოლისი, ჯ. გოლდსორპი). იგი აღიარებს, რომ ინდივიდები რაციონალურად მოქმედებენ კერძო სიტუაციაში პირადი სარგებლობის (მოგების) მაქსიმალური გაზრდის უზრუნველსაყოფად და დანაკარგების მინიმუმამდე შესამცირებლად. ყოველ ინდივიდს აქვს საკუთარი უპირატესობების სკალა და ამის შესაბამისად აკეთებს მისთვის ყველაზე სასურველ არჩევანს.

ა) რისკის შემცირება: რისკის შემცირება გულისხმობს სტრატეგიის განხორციელების პროცესში ისეთი აქტივობების ჩატარებას, რომლებიც შეამცირებენ რისკის ალბათობას და მის გავლენას სტრატეგიის წინასწარ განსაზღვრული პროცესის მიმდინარეობაზე. მაგ. რისკის შემცირებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება, გადამზადების პროგრამების განხორციელება და ა.შ.

ბ) რისკის გაზიარება: რისკის გაზიარება გულისხმობს, კონკრეტული ქმედების, რეფორმის განხორციელების პროცესში, სტრატეგიისა და მასში ასახული ამოცანების მხარდამჭერი ჯგუფების გავლენის მოშველიებას ან/და პასუხისმგებლობის გადანაწილებას. მაგ. კონკრეტული სამიზნე ჯგუფისთვის მტკივნეული გადაწყვეტილების მიღებისას, პროცესის ადვოკატირება უნდა მოახდინონ აღნიშნული გადაწყვეტილების მომხრე ჯგუფებმა; ასევე, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სხვა ორგანიზაციასთან ერთობლივი პროგრამის, ინიციატივის განხორციელება და შესაბამისად, პასუხისმგებლობის/სარგებლის განაწილება;

გ) რისკის მიღება: რისკის მიღება გულისხმობს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას უპირობოდ, იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტული ამოცანის შესრულების სარგებლიანობა მნიშვნელოვანწილად აღემატება შესაბამისი რისკის მიერ მიყენებულ ზიანს/დანახარჯს. მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული ქმედება აღნიშნული რისკის შესამცირებლად, გადაწყვეტილება მაინც უნდა იქნას მიღებული. მაგ. მნიშვნელოვანია და აუცილებლად უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესი შესაძლოა იყოს კომპლექსური, რთული და მოითხოვდეს, პარალელურად, რამდენიმე დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტში ცვლილებას.

დანართი N1 - ტერმინთა განმარტება

არაფორმალური განათლება – ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი, ნებაყოფლობითი პროგრამა, რომელიც არ არის ფორმალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ისახავს კომპეტენციების (ცოდნის, უნარჩვევებისა და დამოკიდებულებების) განვითარებას.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა – იუნესკოს მიხედვით, საზოგადოების, ცალკეული ჯგუფებისა და ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებული ადათ-წესები, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმები, ცოდნა და ჩვევები, ასევე, მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროებია: ზეპირი ტრადიციები და გამოხატვის ფორმები (ლეგენდა, იგავი, ზეპირი გადმოცემა, თქმულება და ა.შ.), საშემსრულებლო ხელოვნება (სიმღერა, ცეკვა, სახიობა და ა.შ.), საზოგადოებრივი პრაქტიკები (თამაშობა, დღეობა, დღესასწაული, კულინარია და ა.შ.), გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება (ხალხური მედიცინა, ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ადათ-წესები და ა.შ.), ხელოსნობის დარგები და ტექნიკები (ხალხური რეწვა: თექა, მეტალი, თიხა, ფარდაგი და ა.შ);

კარგი მმართველობა – საჯარო მმართველობის კონცეფცია, რომლის ძირითადი მახასიათებლებია: სამოქალაქო ჩართულობა, კონსენსუსზე ორიენტაცია, კანონის უზენაესობის დაცვა, ეფექტურობა და ეფექტიანობა, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, სწრაფი რეაგირება, მიუკერძოებლობა და ინკლუზიურობა (გაეროს განმარტება).

კულტურის მუშაკი – ფიზიკური პირი, რომელიც კულტურის სფეროში საქმიანობს;

კულტურული ლანდშაფტი – ადამიანის ან ადამიანისა და ბუნების ერთობლივი ქმნილება, აგრეთვე, არქეოლოგიური ღირშესანიშნაობის შემცველი არეალი, რომელიც წარმოადგენს გამორჩეულ უნივერსალურ ფასეულობას, ისტორიის, ესთეტიკის, ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის თვალსაზრისით და კონკრეტული დამცავი რეჟიმის დასადგენად საჭიროებს ქვეყნის სივრცითი მოწყობის, ქალაქთმშენებლობის, გარემოსდაცვითი, ძეგლთა დაცვისა და კულტურის სტრატეგიების სინერგიას. ტერმინი დღეისთვის აერთიანებს ასევე ქალაქის ლანდშაფტს, ინდუსტრიულ და სხვა სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულ ლანდშაფტებს, თეატრალურ და სამუზეუმო ლანდშაფტებს და სხვ. (იუნესკოს კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. პარიზი, 1972 წ.; ევროსაბჭოს ე.წ. ლანდშაფტების ევროპული კონვენცია. ფლორენცია, 2000 წ.).

კულტურული სივრცე – კონკრეტული გეოგრაფიული არეალი, რომელიც დაკავშირებულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პრაქტიკაში გამოყენებასთან და წარმოადგენს მისი არსებობისთვის აუცილებელ გარემოს. კულტურული სივრცე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროებს შეფასებას, რამაც შეიძლება წარმოშვას გარკვეული დამცავი რეჟიმის დაწესების აუცილებლობა. ასეთ კულტურულ სივრცეს ეწოდება „დაცული კულტურული სივრცე“.

კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონა – კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ირგვლივ ან/და მათი გავრცელებისა თუ გავლენის არეალში კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომლის დანიშნულებაა, მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არასასურველი ზეგავლენისაგან.

კულტურული მრავალფეროვნება – იუნესკოს განსაზღვრების თანახმად, კულტურული მრავალფეროვნება არის საზოგადოების სხვადასხვა ნაწილისა თუ სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელი განსხვავებული სულიერი, მატერიალური, ინტელექტუალური და ემოციური ნიშან-თვისებების ერთობლიობა. ტერმინი მოიცავს, აგრეთვე, ცხოვრების განსხვავებული სტილის, ფასეულობათა სისტემების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და რწმენის მაღიარებელ ადამიანთა ერთად ცხოვრების უნარს.

რეგიონი – საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე.

საჯარო მომსახურება – მომსახურება ან პროდუქტი, რომლის აუცილებლობას განაპირობებს საზოგადოებრივი დაკვეთა და რომლის მიწოდებაც მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა.

ქოლგა ორგანიზაცია – ინსტიტუცია ან ინსტიტუციათა გაერთიანება, რომელიც კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს კონკრეტული სფეროს საქმიანობასა და რესურსებს.

შემოქმედებითი ინდუსტრიები – სექტორი, რომელიც ახორციელებს მხატვრული და შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტისა და მომსახურების წარმოებასა და გავრცელებას, განურჩევლად მათი კომერციული ღირებულებისა, და სხვადასხვა ინდუსტრიულ საქმიანობას, რომელიც შემოქმედებით და მხატვრულ ძალისხმევას ემყარება, ან/და იყენებს კულტურას, როგორც რესურსს ინდუსტრიული პროდუქტის შექმნაში. სექტორი ხელოვნების ტრადიციულ დარგებსა და კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად მოიცავს აუდიოვიზუალურ და საგამომცემლო სექტორს, დიზაინს, რეკლამას, მედიასა და მაუწყებლობას და სხვ. (სექტორი, ასევე, ცნობილია კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სახელით).

შემოქმედებითი ინკუბატორი – დაწესებულება, რომელშიც ერთიანდება ბიზნესინკუბატორისა და შემოქმედებითი სახელოსნოების ფუნქციები და რომლის ძირითადი მიზანი ბიზნეს და კულტურის სექტორის თანამშრომლობის შედეგად ინოვაციური პროდუქტის/მომსახურების წარმოება და მისი კომერციული შესაძლებლობის განვითარებაა. შემოქმედებითი ინკუბატორის მომსახურება არსებითად იგივეა, რაც ბიზნესინკუბატორის. ისინი შემოქმედებით ინდუსტრიებს, ხელოვანებს სთავაზობენ სივრცეებს და საოფისე აღჭურვილობას შეღავათიან ფასად; უზრუნველყოფენ კონსულტაციებსა და გადამზადების პროგრამებს პროექტების განვითარებისათვის.

დანართი N2 - სტრატეგიის შემუშავების პროცესი და მეთოდოლოგია

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერით, საჯარო მმართველობის რეფორმირების[28] კონტექსტში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და 2015 წლის 30 იანვარს, საზოგადოებას წარუდგინა „საქართველოს კულტურის სტრატეგის გზამკვლევი“[29]. აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრა სტრატეგიის შემუშავების პროცესი, ძირითადი მიმართულებები, პრინციპები, ვადები, გარემოებები და ხაზგასმით აღინიშნა ამ პროცესის წარმართვა „კარგი მმართველობის“ ძირითადი პრინციპების – გამჭვირვალობის, სამოქალაქო ჩართულობის, კანონის უზენაესობის გათვალისწინებით.

საკითხის ეფექტური ადმინისტრირების მიზნით, ასევე, საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებითა და ა.შ.შ.-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (US-AID) რეკომენდაციით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეიქმნა სტრატეგიის შემუშავებასა და მისი განხორციელების მონიტორინგზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული – კულტურის პოლიტიკის სამმართველო. სტრატეგიის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის შესაბამისად, ღია შერჩევის წესით, ჩამოყალიბდა კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფი[30]. ამასთან ერთად, შეიქმნა კულტურის სამინისტროს შიდა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა სტრუქტურაში შემავალი დეპარტამენტების დირექტორებით. სტრატეგიის შემუშავების პროცესში სხვა სამთავრობო უწყებების ჩართვის, მათთან კოორდინაციის, ასევე, სხვა დარგობრივ პოლიტიკაში კულტურისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია და სამუშაო ჯგუფი.

პროცესის საჯაროობისთვის, სოციალურ ქსელში შეიქმნა ფეისბუქის გვერდი[31] და სპეციალური ვებგვერდი[32], რომელზეც განთავსდა სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩატარებული ყველა შეხვედრის ოქმი და პროცესთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი ინფორმაცია. გამოცდილების გაზიარების მიზნით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, შეხვედრები გამართა ევროკავშირის ქვეყნების წამყვან ექსპერტებთან, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურის პოლიტიკის მიმართულებით.

სტრატეგიის შემუშავების პროცესის პირველ ეტაპზე – კულტურის სფეროში არსებული პრობლემებისა და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება – გამოყენებულ იქნა კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები.



[28] საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი. (2015). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, gov.ge: http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=423&info_id=49307 - დან;
პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია. (2015). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, gov.ge: http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=423&info_id=49306 - დან;

[29] საქართველოს კულტურის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი. (2015). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, culturepolicy.ge: http://culturepolicy.ge/getfile/1272139d-b491-40c6-a575-c191e4a517c6/.aspx - დან;

[30] საკოორდინაციო ჯგუფი ჩამოყალიბდა ღია შერჩევის წესით, სტრატეგიის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის შესაბამისად. საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის მიზანია სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობის პროცესში აქტიური მონაწილეობა, კულტურის პოლიტიკის სამმართველოს დახმარება ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციასა და კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში;

[31] ერთად შევქმნათ კულტურის პოლიტიკა. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, facebook.com: https://www.facebook.com/CulturePolicy2025?_rdr - დან;

[32] კულტურის პოლიტიკა. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, culturepolicy.gov.ge: http://culturepolicy.gov.ge/Home.aspx - დან.

ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები[33] - კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან[34] გამართულ საჯარო შეხვედრებზე, დედაქალაქსა და რეგიონებში[35]. 2015 წლის თებერვლიდან მაისამდე, გაიმართა 11 რეგიონული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1128 მოქალაქემ, მაისიდან ივნისის ჩათვლით, გაიმართა 17 შეხვედრა თბილისში, კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთან და მიზნობრივ ჯგუფთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 460-მა მოქალაქემ. შემუშავდა სპეციალური კითხვარი და ჩატარდა ინტერნეტ გამოკითხვა[36]. შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ოფიციალური წერილები გაიგზავნა სხვადასხვა სამთავრობო უწყებაში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანიზაციაში, პოლიტიკურ პარტიასა და არასამთავრობო ორგანიზაციაში.

აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილ იქნა პრობლემები და შემუშავდა ე.წ. პრობლემების ხე[37], განისაზღვრა ამ პრობლემათა გადაჭრის გზები და შესაბამისი ამოცანები.

სტრატეგიის შემუშავების მეორე ეტაპზე – ინფორმაციის ანალიზი – ზემოაღნიშნული წყაროების გარდა, მოხდა მეორადი წყაროების განხილვა, შესწავლილ იქნა პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო დოკუმენტები, სხვა ქვეყნების კულტურის პოლიტიკის დოკუმენტები, კულტურის სტრატეგიებთან დაკავშირებული საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, საერთაშორისო კონვენციები, ანგარიშები, კვლევები და სხვა მასალები. ზემოხსენებული კომპონენტების ანალიზი გახდა კულტურის სტრატეგიის ზოგადი ხედვის, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის საფუძველი, რომელიც აისახა კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიაში.

სტრატეგიის შემუშავების მესამე, დასკვნით ეტაპზე – სტრატეგიის სამუშაო ვერსიის გასაჯაროება – გაიმართა დოკუმენტის საჯარო პრეზენტაცია, ჩატარდა 11 რეგიონული, (დაესწრო 1225 მოქალაქე) და 13 დარგობრივი (დაესწრო 178 მოქალაქე) შეხვედრა. დოკუმენტი გაზიარდა სამთავრობო უწყებებთან (26 უწყება), კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შემავალ სსიპ-ებთან (86 სსიპ-ი) და დაინტერესებულ მხარეებთან. ღიაობის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად, დოკუმენტი განთავსდა ინტერნეტსივრცეში ფართო საზოგადოებისგან შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით.

საზოგადოების ყველა ზემოაღნიშნული ჯგუფიდან მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები, დიდწილად, აისახა სტრატეგიის დოკუმენტში.

[33] ზურაბიშვილი, თ. (2006). თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, css.ge: http://old.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlevebshi.pdf - დან;

[34] დარგობრივი შეხვედრები. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, culturepolicy.gov.ge: http://culturepolicy.gov.ge/EventSideMenu/Sector-Meetings.aspx - დან;

[35] რეგიონული შეხვედრები. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, culturepolicy.gov.ge: http://culturepolicy.gov.ge/EventSideMenu/Regional-Meetings.aspx - დან;

[36] შემუშავებულ იქნა კითხვარი, კულტურის სფეროს პრობლემებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ, რომელიც გავრცელდა ელექტრონულად;

[37] პრობლემების ხეები. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, culturepolicy.gov.ge: http://culturepolicy.gov.ge/InfoGrafika.aspx - დან.

კულტურის როლი სხვა სექტორების განვითარებაში

სარჩევი

- სქემები 66
- ცხრილები 66
- გრაფიკები 66
- შესავალი 67
  - კულტურა და ეკონომიკა 70
  - კულტურა და საერთაშორისო ვაჭრობა 71
  - კულტურა და დასაქმება 74
  - კულტურა და ტურიზმი 77
  - კულტურა და ახალი ტექნოლოგიები 77
  - კულტურა და დასახლებების განვითარება 77
  - კულტურა და ბიზნესგანვითარება 78
  - კულტურა და განათლება 79
- სხვა საკითხები 80

სქემები

სქემა 1 - შემოქმედებითი ინდუსტრიების კლასიფიკაცია, (UNCTAD, 2010) 69

სქემა 2 - შემოქმედებითი ინდუსტრიები და დასაქმება, (გაერთიანებული სამეფოს კულტურის, მედიისა და სპირტის დეპარტამენტი, 2015) 76

ცხრილები

ცხრილი 1 - კულტურული ინდუსტრიების მიერ ეკონომიკაში შეტანილი წვლილი, 5 ქვეყნის მაგალითზე (OECD, 2013) 70

ცხრილი 2 - დასაქმება სექტორების მიხედვით, ევროპა 2012 (ათასებში), (ერნსტ ენდ იანგი (EY), 2014) 75

ცხრილი 3 - სამუშაო ადგილების, GVA-სა და მომსახურებათა ექსპორტის მაჩვენებლების ცვლილება შემოქმედებით ინდუსტრიებსა და მთლიან ეკონომიკაში, 2010-2013 წწ. (გაერთიანებული სამეფოს კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი, 2015) 76

ცხრილი 4 - საერთაშორისო კულტურული ტურიზმის მოცულობა (OECD, 2006) 77

გრაფიკები

გრაფიკი 1- შემოქმედებითი პროდუქტით საერთაშორისო ვაჭრობა (მლნ ამერიკულ დოლარში), (UNCTAD, 2013) 71

გრაფიკი 2 - მსოფლიო ექსპორტის მონაცემები სექტორების და წლების მიხედვით (UNCTAD, 2013) 72

გრაფიკი 3 - 2008-2014 წელს შორის GVA მაჩვენებლების პროცენტული ზრდის შედარება, სექტორების და მთლიანი ეკონომიკის მიხედვით, გაერთიანებული სამეფო (გაერთიანებული სამეფოს კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი, 2016) 73

გრაფიკი 4 - დასაქმების მაჩვენებლების პროცენტული ზრდა ევროკავშირში, (ერნსტ ენდ იანგი (EY), 2014) 74

კულტურას, როგორც ადამიანთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილს, უდიდესი გავლენა აქვს ინდივიდთა განვითარებაზე, ხალხთა ჩვევებისა და ტრადიციების, საზოგადოებათა იდენტობის ჩამოყალიბებაზე. კულტურა არის პიროვნებაზე ორიენტირებული, სამართლიანი, თანასწორი და ჰუმანური გარემოსა და მომავლის ფორმირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, სადაც კულტურა გასცდა კონკრეტულ შენობებსა თუ დასახლებებს და გლობალური ხასიათი შეიძინა, სრულად წარმოჩინდა მისი პოტენციალი საზოგადოების კეთილდღეობის შექმნასა და მდგრად განვითარებაში, რასაც ადასტურებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული უახლესი კვლევები. კულტურული მემკვიდრეობა, შემოქმედებითი ინდუსტრიები და კულტურული ტურიზმი ეკონომიკური შემოსავლების გენერირების, სამუშაო ადგილების შექმნის ეფექტური საშუალებაა.

საერთაშორისო თანამეგობრობამ აღიარა კულტურის საკვანძო როლი მსოფლიოს მდგრადი განვითარების - ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კომპონენტების ამოქმედებასა და გაძლიერებაში. ის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გაეროს გლობალური განვითარების დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების დიდი ნაწილის მოგვარებაში, განსაკუთრებით კი – სიღარიბის შემცირებაში, განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში, გარემოს რესურსების ეფექტურ მართვაში, მდგრადი ქალაქების განვითარებაში, საზოგადოების სოციალურ ერთიანობასა და ჩართულობაში[1]. კულტურა არის როგორც მდგრადი განვითარების ცალკე კომპონენტი, ისე სხვა კომპონენტების ჰარმონიული ურთიერთქმედებისა და მათ შორის სასურველი ბალანსის მიღწევის საშუალება.

2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგში კულტურის კომპონენტის ინტეგრირების თაობაზე, გაერომ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია, შეიმუშავა სხვადასხვა ნაშრომი და რეკომენდაცია[2].

დღესდღეობით, კულტურა აღარ წარმოადგენს სექტორს, რომელში ინვესტირებაც მხოლოდ ირიბ დადებით ეფექტებზეა გათვლილი (როგორც ეს 1980-იან წლებამდე აღიქმებოდა)[3], ამის საპირისპიროდ, მასში ჩადებულ ფინანსურ რესურსს შეუძლია სერიოზული ეკონომიკური სარგებლის მოტანა. კულტურის სექტორის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა განაპირობა შესაბამისმა კვლევებმა და სტატისტიკურმა ინფორმაციამ, რომლებიც მკაფიოდ აჩვენებდა მის მნიშვნელოვან როლს სამუშაო ადგილების შექმნაში, ეკონომიკის გაძლიერებასა და ტურიზმის განვითარებაში. ამის პარალელურად, საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მონაცემებმა ცხადყო კულტურული პროდუქტების გაყიდვების თვალსაჩინო ზრდა (იხ. გრაფა N1).

ერნსტ ენდ იანგის (EY) მიერ, 2014 წელს გამოქვეყნებული კვლევის, „დოვლათის შექმნა - კულტურული და შემოქმედებითი ბაზრების შეფასება ევროკავშირში“[4], მიხედვით შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორი არის ევროპის ქვეყნებში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი უპირობო საშუალება და მას აქვს განმსაზღვრელი როლი ევროპის ეკონომიკის განვითარებაში. 535 მილიარდიანი წლიური ბრუნვითა და 7 მილიონზე მეტი დასაქმებულით, რომელთაგან 19,1% არის 30 წლამდე ადამიანი, კულტურა და შემოქმედება, ევროპის ქვეყნებში პირველ 3 დამსაქმებელს შორის არის, მშენებლობისა და საკვები/სასმელების ბიზნესის შემდგომ.

მსოფლიო ბანკის პროგნოზის მიხედვით, 2030 წლისთვის, კულტურა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი (დღეში 1,25 ა.შ.შ დოლარზე ან ნაკლებ თანხაზე მცხოვრები) ადამიანების რაოდენობის 3%-ით შემცირებაში (World Bank, 2012)[5].

კულტურასა და შემოქმედებითობას აქვს მრავალი განზომილება და კატალიზატორის როლში გვევლინება სხვა, ერთი შეხედვით, განყენებულად მდგომი საკითხების განვითარებაში. კულტურისა და შემოქმედებითობის დადებითი გავლენის კვლევა საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც სიახლეა და განსაკუთრებით გააქტიურდა 2010 წლის შემდგომ პერიოდში. აღნიშნული განაპირობა სექტორში მოღვაწე ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მისწრაფებამ, კვლევის შედეგების საფუძველზე განემტკიცებინათ კულტურისა და შემოქმედებითობის მრავალმხრივი ბუნება და მის პირდაპირ სარგებლიანობასთან ერთად, გამოევლინათ დადებითი ირიბი ეფექტები, რომლებიც ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებულ სფეროებში. კულტურის ორგანიზაციები და სახელმწიფო სტრუქტურები მუშაობენ მოცემული საკითხის დეტალურ კვლევასა და შესაბამისი სპეციფიკური მეთოდოლოგიის შემუშავებაზე, რომელიც შეძლებს კულტურის, ხშირ შემთხვევაში, არაფინანსური სარგებლიანობის გაზომვას.



შემოქმედებითი ინდუსტრიები

შემოქმედებითი ინდუსტრიები (ასევე, ცნობილია კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სახელით) წარმოადგენს სექტორს, რომელიც ახორციელებს მხატვრული და შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტისა და მომსახურების წარმოებასა და გავრცელებას, განურჩევლად მათი კომერციული ღირებულებისა, და სხვადასხვა ინდუსტრიულ საქმიანობას, რომელიც შემოქმედებით და მხატვრულ ძალისხმევას ემყარება, ან/და იყენებს კულტურას, როგორც რესურსს ინდუსტრიული პროდუქტის შექმნაში. სექტორი, ძირითადად, მოიცავს ხელოვნების ტრადიციულ დარგებს, კულტურულ მემკვიდრეობასა და აუდიოვიზუალურ და საგამომცემლო სექტორს, დიზაინს, რეკლამას, მედიას, მაუწყებლობას და სხვ. არ არსებობს სექტორის განმარტების უნივერსალური მიდგომა; სხვადასხვა ქვეყანაში მცირედით განსხვავდება იმ სექტორების ჩამონათვალი, რომელთაც მოიაზრებენ შემოქმედებით ინდუსტრიებში. მაგ. გაერთიანებულ სამეფოში შემოქმედებითი ინდუსტრიების ჯგუფში მოიაზრება შემდეგი სექტორები: რეკლამა და მარკეტინგი, არქიტექტურა, რეწვა, დიზაინი, კინო, ტელევიზია, ვიდეო, რადიო და ფოტოგრაფია, ინტერნეტტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფა და კომპიუტერული მომსახურებები, გამომცემლობა, მუზეუმები, გალერეები და ბიბლიოთეკები, მუსიკა, საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნება.

სქემა 1 - შემოქმედებითი ინდუსტრიების კლასიფიკაცია (UNCTAD, 2010)



- კულტურული მემკვიდრეობა
- ხელოვნება
- მედია
- ფუნქციური შემოქმედება

დღესდღეობით, შემოქმედებითი ინდუსტრიები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ სექტორს გლობალური ეკონომიკისა, კერძოდ კი, სექტორის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ახლო აღმოსავლეთში შეადგენს 17,6%-ს, აფრიკის ქვეყნებში 13,9%-ს, სამხრეთ ამერიკაში 11,9%-ს, აზიაში 9,7%-ს, ოკეანეთში 6,9%-ს, ხოლო ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში 4,3%-ს.[6]

ევროკომისიის ინფორმაციით, კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის ზრდის ტენდენცია ევროკავშირში, 1999-2003 წლებისთვის იყო 12,3%-ით უფრო მაღალი, ვიდრე მთლიანი ეკონომიკის ზრდა. კულტურის სექტორის ბრუნვა, წლიურად, ევროკავშირში შეადგენს 654 მლრდ ევროს, მაშინ, როდესაც მანქანათა დამამზადებელი ინდუსტრიის ბრუნვა შეადგენს 271მლრდ ევროს (2001) და ინტერნეტ-ტექნოლოგიების დამამზადებელი ინდუსტრიის ბრუნვა – 541მლრდ ევროს (2003).[7]

ცხრილი 1 - კულტურული ინდუსტრიების მიერ ეკონომიკაში შეტანილი წვლილი, 5 ქვეყნის მაგალითზე (OECD, 2013)

კულტურის ინდუსტრიების წვლილი ეკონომიკაში				
ქვეყანა	**წელი**	**ვალუტა**	**ღირებულება (მილიონებში)**	**% მთლიან ეკონომიკაში**
ავსტრალია	1998–99	ავსტრალიური დოლარი	17.053	3.1%
კანადა	2002	კანადური დოლარი	37.465	3.5%
საფრანგეთი	2003	ევრო	39.899	2.08%
გაერთიანებული სამეფო	2003	ფუნტი სტერლინგი	42.180	5.8%
ა.შ.შ.	2002	ა.შ.შ. დოლარი	641.139	3.3%

* მთლიანი დამატებული ღირებულება(Gross Value Added) არის სხვაობა წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულებათა ჯამისა (გამოშვებისა) და წარმოების პროცესში სრულად გამოყენებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებების ჯამს (შუალედურ მოხმარებას) შორის;

შემოქმედებითი პროდუქტით საერთაშორისო ვაჭრობა (მლნ ამერიკულ დოლარში) - (UNTCAD, 2013)



გრაფიკი 1

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNTCAD) ინფორმაციით, შემოქმედებითი ხასიათის პროდუქციითა და მომსახურებებით საერთაშორისო ვაჭრობამ 2011 წელს რეკორდულ ნიშნულს, 624 მლრდ ა.შ.შ. დოლარს მიაღწია.[8] აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებელმა გადააჭარბა 2008 წელს, ეკონომიკურ კრიზისამდე არსებულ უმაღლეს მაჩვენებელს, 620 მლნ ა.შ.შ. დოლარს.

შემოქმედებითი პროდუქტით საერთაშორისო ვაჭრობა გაორმაგდა 2002 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში. საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი, აღნიშნული პერიოდისთვის, შეადგენდა 8,8%-ს.[9]

შემოქმედებითი პროდუქტით ვაჭრობის საკითხში, წამყვანი სექტორია დიზაინის ინდუსტრია. 2011 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ბაზარზე გაიყიდა 301 მლრდ ამერიკული დოლარის ღირებულების დიზაინის პროდუქტი. სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ყველაზე სწრაფად მზარდ სექტორს წარმოადგენს ახალი მედია, ექსპორტის წლიური 13,8%-იანი მაჩვენებლით. გამომცემლობა და ბეჭდური მედია, ელექტრონული გავრცელების წყაროების გაძლიერების გამო განიცდის გარკვეულ სირთულეებს, თუმცა, ამის მიუხედავად, ვაჭრობის მაჩვენებელი გაიზარდა და 2011 წლისთვის შეადგინა 43 მლრდ ამერიკული დოლარი.

მსოფლიო ექსპორტის მონაცემები სექტორების და წლების მიხედვით (**UNCTAD**, 2013)

	ჯამი	რეწვა	აუდიო ვიზუალური სექტორი	დიზაინი	ახალი მედია	საშემსრულებლო ხელოვნება	გამომცემლობა	ვიზუალური ხელოვნება
2002	198.240	17.503	455	114.694	17.506	2.754	29.908	15.421
2011	454.019	34.209	492	301.262	43.744		43.077	31.127

გრაფიკი 2

გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკის მძლავრ და სწრაფად განვითარებად სექტორს წარმოადგენს შემოქმედებითი ინდუსტრიები. ბოლო მონაცემებით, გაერთიანებულ სამეფოში, შემოქმედებითი ინდუსტრიების ბრუნვა წელიწადში 84,1 მლრდ ფუნტი სტერლინგია, რაც ბრიტანეთის ეკონომიკის 5,2%-ს წარმოადგენს. სექტორის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2014 წლისთვის შეადგენდა 8,9%-ს, მთლიანი ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელზე თითქმის 2-ჯერ მეტს. ბრიტანეთის შემოქმედებითი ინდუსტრიები საათში დაახლოებით 9.6 მილიონ ფუნტ სტერლინგს გამოიმუშავებს. გაერთიანებული სამეფოს კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მონაცენების მიხედვით, 2016 წელი არის რეკორდული წელი მუსიკის, ფილმის, ვიდეოთამაშების, ტელევიზიისა და გამომცემლობების სექტორებისთვის[10].

2008-2014 წელს შორის GVA მაჩვენებლების პროცენტული ზრდის შედარება, სექტორების და მთლიანი ეკონომიკის მიხედვით, გაერთიანებული სამეფო. (გაერთიანებული სამეფოს კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი, 2016)



პირდაპირ ფინანსურ სარგებელთან ერთად, კულტურის სექტორს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს სოციალური პრობლემების მოგვარებაში, სიღარიბის დაძლევასა და სამუშაო ადგილების შექმნაში. ევროკომისიის ინფორმაციით, 2004 წელს, ევროპის მასშტაბით კულტურის სექტორში დასაქმებული იყო მინიმუმ 5,8 მლნ ადამიანი. 2002-2004 წლებში, ევროკავშირში დასაქმების საერთო მაჩვენებლის შემცირების ფონზე, კულტურის სექტორში დასაქმება გაიზარდა +1,85%-ით.[11]

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის მდგრადობა და მოქნილობა ნათლად გამოჩნდა ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, როდესაც, დასაქმების მაჩვენებლის ზრდა არ შეწყვეტილა, ევროკავშირის მთლიანი ეკონომიკური მაჩვენებლებისგან განსხვავებით.

გრაფიკი 4

დასაქმების მაჩვენებლების პროცენტული ზრდა ევროკავშირში
(ერნსტ ენდ იანგი (EY), 2014)



ევროკავშირის მიერ, 2014 წელს კულტურისა და შემოქმედებითი ბაზრის კვლევის შედეგების მიხედვით, 2012 წლის მონაცემების მიხედვით, ევროპის ქვეყნებში, შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორში დასაქმებულია 7 მლნ ადამიანი[12].

ცხრილი 2 - დასაქმება სექტორების მიხედვით, ევროპა 2012 (ათასებში), (ერნსტ ენდ იანგი (EY), 2014)

	სექტორი	დასაქმებულთა რაოდენობა
1	მშენებლობა	15,348 მლნ
2	კვება/სასმელების დარგში მომსახურება	7,274 მლნ
3	შემოქმედებითი ინდუსტრიები	7,060 მლნ
4	ლითონებისა და ფოლადის ინდუსტრია	4,972 მლნ
5	საკვები პროდუქტების წარმოება	7,453 მლნ
6	ავტომობილების მრეწველობა	3,014 მლნ
7	ქიმიური მრეწველობა	1,346 მლნ
8	ტელეკომუნიკაციები	1,204 მლნ

გაერთიანებულ სამეფოში, 2013 წლისთვის, შემოქმედებითი ეკონომიკის სექტორში დასაქმებული იყო 2,62 მლნ ადამიანი, 1 ადამიანი ყოველი 12 დასაქმებულიდან. 1997 წლიდან – 2013 წლამდე პერიოდში, სექტორში დასაქმება გაიზარდა 1,81 მლნ-დან 2,62 მლნ-მდე, რაც, საშუალოდ, წარმოადგენს ყოველწლიურ 2,3%-იან ზრდას და დაახლოებით 4-ჯერ მეტია დასაქმების მთლიან, 0,6%-იანი ზრდის მაჩვენებელზე.[13]

სქემა 2 - შემოქმედებითი ინდუსტრიები და დასაქმება, (გაერთიანებული სამეფოს კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი, 2015)

1. შემოქმედებით ინდუსტრიებში არსებული სამუშაო ადგილები, რომლებიც არ არის თვისებრივად შემოქმედებითი;

2. თვისებრივად შემოქმედებითი სამუშაო ადგილები შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორში;

3. თვისებრივად შემოქმედებითი სამუშაო ადგილები შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გარეთ;

შემოქმედებითი ეკონომიკა= 1+2+3
შემოქმედებითი ინდუსტრიები= 1+2



ცხრილი 3 - სამუშაო ადგილების, GVA-სა და მომსახურებათა ექსპორტის მაჩვენებლების ცვლილება შემოქმედებით ინდუსტრიებსა და მთლიან ეკონომიკაში, 2010-2013 წწ. (გაერთიანებული სამეფოს კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი, 2015)

	სექტორი	პროცენტული ცვლილება, წინა წელთან შედარებით			
		2010	2011	2012	2013
სამუშაო ადგილების რაოდენობა	შემოქმედებითი ინდუსტრიები	-0.3 %	8.9 %	8.6 %	1.4 %
	მთლიანი ეკონომიკა	0.8 %	3.8 %	0.7 %	1.6 %
GVA	შემოქმედებითი ინდუსტრიები	3.7 %	9.1 %	7.4 %	9.9%
	მთლიანი ეკონომიკა	4.1%	2.9 %	2.4%	3.3 %
მომსახურებათა ექსპორტი	შემოქმედებითი ინდუსტრიები	10.6 %	5.3 %	11.3%	-
	მთლიანი ეკონომიკა	4.0%	6.8 %	2.8 %	-

ერთ-ერთი ყველაზე დიდი გავლენა კულტურის სექტორს აქვს ტურიზმის განვითარებაზე. კულტურული ტურიზმი, ეკონომიკის ამოქმედებისა და განვითარების მძლავრი კატალიზატორია. ის ხელს უწყობს ქვეყნის ცნობადობის გაზრდას და ინვესტიციების მოზიდვას. მდგრადი ტურიზმის განვითარება, დიდწილად, დამოკიდებულია კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობასა და შემოქმედებით ინდუსტრიებზე (მუზეუმები, რეწვის სახელოსნოები, კულტურული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები, ძეგლები, ფოლკლორი, ეროვნული სამზარეულო, ღვინო და სხვა).

ევროპა ნოსტრას ინფორმაციით, ევროპაში არსებული ტურისტული აქტივობების 50% განპირობებულია კულტურული მემკვიდრეობით. არსებული პროგნოზით, მოსალოდნელია კულტურული ტურიზმის მზარდი განვითარება.[14] გაეროს ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით, კულტურული ტურიზმი შეადგენს მსოფლიო ტურიზმის 40%-ს.[15]

ცხრილი 4 - საერთაშორისო კულტურული ტურიზმის მოცულობა (OECD, 2006)

წელი	ვიზიტების რაოდენობა	კულტურული მარშრუტების წილი	კულტურული მარშრუტების რაოდენობა
1995	538 მლნ	37 %	199 მლნ
1995	538 მლნ	40 %	359 მლნ

კულტურა და ახალი ტექნოლოგიები

შემოქმედებითი კონტენტის ზრდა და ინტერნეტ ტექნოლოგიების სექტორის გავრცობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ინტერნეტტექნოლოგიებმა სხვა საფეხურზე აიყვანა და ახალი შესაძლებლობები გადასცა შემოქმედებით ინდუსტრიებს, თავის მხრივ კი, შემოქმედებითი კონტენტი ინტერნეტტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ასეთი სწრაფი გავრცელების კატალიზატორია.[16]

კულტურა და დასახლებების განვითარება

კულტურა ხელს უწყობს რეგიონებისა და დასახლებების გაძლიერებას, როგორც ბიზნესგანვითარების, ისე სოციალური ინტეგრაციის ასპექტში. განვითარებული შემოქმედებითი ინდუსტრიები და კულტურული მემკვიდრეობა, ხელს უწყობს დასახლებების საცხოვრებლად მიმზიდველობის ზრდას, მოსახლეობის განსხვავებული ჯგუფების სოციალურ ინტეგრაციასა და ჰარმონიულ თანაცხოვრებას. და ა.შ.

ბილბაოს გუგენჰეიმის მუზეუმი

გუგენჰეიმის მუზეუმი არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია კულტურას ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და რეგიონების სიცოცხლისუნარიანობის აღდგენა.

მუზეუმი აგებულია ქალაქ ბილბაოს ცენტრში, 32 500კმ2 ფართობზე, ამერიკელი არქიტექტორის ფრენკ გერის დიზაინის მიხედვით.

მუზეუმის აშენება წარმოადგენდა რეგიონის გაცოცხლების სტრატეგიული გეგმის საკვანძო ელემენტს. აღნიშნული გეგმა შემუშავდა 1989 წლისთვის, რა პერიოდშიც ბილბაოში იყო ეკონომიკური კრიზისი.

1997 წელს, გახსნის დღიდან, გუგენჰეიმის მუზეუმმა გაამართლა იმედები. მან დიდი წვლილი შეიტანა ბილბაოს მოწინავე კულტურულ მიმართულებად გარდაქმნასა და ადგილობრივი ცხოვრების გამრავალფეროვნებაში. საგრძნობლად გაიზარდა კულტურული ტურიზმი (8 მლნზე მეტი ვიზიტორი, რომელთაგან 60% იყო საზღვარგარეთიდან).

საერთო ჯამში, მუზეუმმა მოახერხა 1.3 მლრდ ევროს ოდენობით მოგების გამომუშავება, რაც 18-ჯერ ფარავს მისი აშენებისთვის გაწეულ ხარჯებს.

პირდაპირი ფინანსური სარგებლისა და ტურიზმის ხელშეწყობის გარდა, გუგენჰეიმის მუზეუმმა დიდი გავლენა იქონია ბასკეთში კულტურული ინდუსტრიების და ზოგადად, შემოქმედებითი პროცესების განვითარებაზე. გაიზარდა ინტერესი ხელოვნებისადმი, განვითარდა ადგილობრივად არსებული სხვა მუზეუმები, გაიხსნა გალერეები და ა.შ. (იხ. „კულტურის ეკონომიკა ევროპაში“, KEA, 2006, გვ. 156).

კულტურა და ბიზნესგანვითარება

შემოქმედებითობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კულტურასთან დაკავშირებული პროდუქტებითა თუ მომსახურებების წარმოებითა და მიწოდებით. ის ხელს უწყობს შთაგონებას და ინოვაციური მიდგომების დამკვიდრებას, რაც სარგებლის მომტანია თითქმის ყველა სახის ბიზნესისთვის. ახალი ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ეპოქა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით და ტენდენციების მუდმივი განახლებით. ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია ინოვაციურობა, რაც არ არსებობს შემოქმედებითობის გარეშე[17]. თანამედროვე სამყაროში შემოქმედებითობა და ინოვაციები ტრადიციულ ბიზნესს ახალ სახეს აძლევს, აძლიერებს და საზოგადოებაში არსებული ცვლილებებთან და მოთხოვნებთან ადაპტირების ინსტრუმენტად იქცევა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბიზნესსა და კულტურისა და შემოქმედებით სექტორს შორის ურთიერთობის გაღრმავება.

მინის ტარას დიზაინი

- „კობალტის ლურჯი ბოთლის“ შეთავაზება მსოფლიოს საუკეთესო რესტორნებისთვის Ty Nant - კომპანია, რომელიც მინერალური წყლის ბიზნესის მინის ტარას დიზაინთან კავშირის საუკეთესო ნიმუშია. საოჯახო საწარმოს, Ty Nant-ის ინოვაცია გულისხმობდა კობალტის ლურჯი ბოთლის შექმნას, რომელიც განსხვავდებოდა ტრადიციული ბოთლებისგან, როგორც ფორმის, ასევე ფერის თვალსაზრისით. 1989 წელს, მცირე ბიზნესის სახით შექმნილმა ბრენდმა ლონდონში, დაიმსახურა „პირველი მინის ტარის“ წოდება, საუკეთესო დიზაინის კუთხით. დღეისათვის, ეს ბრენდი გაერთიანებულ სამეფოში ერთ-ერთი პირველია თავისი ეკონომიკური ღირებულებით, რომლის წლიური ბრუნვა შეადგენს 4 მლნ. ფუნტ სტერლინგს, სადისტრიბუციო ქსელი მსოფლიოს მასშტაბითაა განვითარებული, პროდუქციის 60%-ი კი 30-მდე ქვეყანაში გადის ექსპორტზე. 2004 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 38 ადამიანი.
(იხ. „კულტურის ეკონომიკა ევროპაში“, KEA 2006 გვ. 37).

ახალგაზრდებში, წარმოსახვის, თვითგამოხატვისა და შემოქმედებითობის განვითარებისთვის საკვანძო როლს ასრულებს კულტურასა და ხელოვნებაში ჩართულობა. ის ავითარებს უნარებს, რომლებიც გაერთიანებული სამეფოს შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმატებისა და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალი თაობის საწინდარია (Arts Council of England)

კულტურა და განათლება

კულტურის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება დადებითად აისახება ქვეყანაში ცოდნის დონის ამაღლებაზე. კულტურა და შემოქმედებითობა ხელს უწყობს ადამიანებში ნიჭის აღმოჩენასა და გაღვივებას, შემოქმედებითი და ინოვაციური უნარების განვითარებას, ახალი იდეების გენერირებას. შემოქმედებითობა აუმჯობესებს ადამიანის კოგნიტურ უნარებს[18]. განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს ბავშვებისა და ახალგაზრდების გრძელვადიან ჩართვას კულტურულ აქტივობებში. აქედან გამომდინარე სასურველი და სასარგებლოა სკოლებსა და კულტურის ორგანიზაციებს შორის კავშირების გაღრმავება და ერთობლივი ღონისძიებების რეგულარული დაგეგმვა და განხორციელება.

შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, ა.შ.შ-ში, ისეთ სკოლებში სადაც კურიკულუმში ინტეგრირებულია სახელოვნებო გაკვეთილები, შესამჩნევად უკეთესია კითხვითი უნარებისა და მათემატიკის საშუალო ქულები, იმ სკოლებთან შედარებით, სადაც კურიკულუმი მსგავსი ტიპის საგნებსა და აქტივობებს არ ითვალისწინებს.[19]

ედინბურგის ფესტივალის შეფასებისას, რომელიც ეფუძნებოდა შესაბამის კვლევებს და ორგანიზატორებისა და შემსრულებლების გამოკითხვას, გამოვლინდა, რომ ფესტივალმა დადებითი გავლენა მოახდინა ბავშვებზე, პიროვნული განვითარების, წარმოსახვისა და შემოქმედებითობის უნარების განვითარების კუთხით.[20]

გარდა ზემოჩამოთვლილი საკითხებისა, კულტურის სექტორს მნიშვნელოვანი დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხელშეწყობასა და განვითარებაზე.

- მშენებლობა და უძრავი ქონების ბაზარი – კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (მაგ. ინდუსტრიული მემკვიდრეობა) რესტავრაციის პრინციპების დაცვით ტრანსფორმაცია, ადაპტაცია. ტრადიციული მშენებლობის ტექნიკებისა და ტექნოლოგიების, ტრადიციული მასალების გამოყენება მშენებლობასა და სარესტავრაციო სამუშაოებში, ხელს უწყობს უძრავი ქონების ბაზარზე ხარისხიანი პროდუქტის ბაზრის განვითარებას;
- სოფლის მეურნეობა – აგრარული მემკვიდრეობა მრავალფეროვანია, მოიცავს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს (სოფლის სახლები, ტერასები, საირიგაციო არხები, გასტრონომია, ადგილობრივი კულტურული ჯიშები და სახეობები, ტრადიციული ფესტივალები, რიტუალები, ტრადიციული რეწვა, ვენახის ლანდშაფტი, ღვინის დაყენების ტექნოლოგია და სხვ.) და ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობაში არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ხელს უწყობს მცირემიწიანი მეურნეობების რენტაბელურ მეურნეობებად გადაქცევას, სოფლის მეურნეობის დარგში ექსკლუზიური, ძვირფასი კულტურული პროდუქტის წარმოების საშუალებით;

„ფესტივალი მდინარე ნიგერზე“

„მაიას“ სახელით ცნობილი მეწარმეობის მოდელი, რომელიც დაარსდა მალიში, 2004 წელს. ფესტივალის ხედვა ჰუმანისტურია და გულისხმობს ადგილბრივ ღირებულებებზე დაფუძნებულ სახელოვნებო, ეკონომიკურ და სოციალურ მდგრად განვითარებას, მართვის თანამედროვე პრინციპების გამოყენებით. ფესტივალის მიზანია ადგილობრივი განვითარება სახელოვნებო პროფესიების, სასტუმროების, კვების ქსელის, ტრადიციული რეწვისა და ტურიზმის გაცოცხლება. მიდგომამ ხელი შეუწყო ადგილობრივი თემების განვითარებას ეკონომიკურ, კულტურულ, სახელოვნებო, სოციალურ და გარემოს დაცვით კონტექსტებში.

გასული 5 წლის მანძილზე, ფესტივალის საშუალებით განვითარდა მონაწილეთა და დამსწრეთა საცხოვრებლებით უზრუნველყოფის სისტემა, რამაც ფესტივალის მონაწილეებს კერძო სახლებში განთავსების საშუალება მისცა. სეგოუ დაუძმობილდა რიჩმონდის (ვირჯინია, აშშ) და მოხდა გაცვლები მექსიკასა და პორტუგალიასთან, სენგალთან. ფესტივალის განვითარებამ განაპირობა მდინარის სანაპირო ზოლის გაწმენდა და მწვანე საფარის აღდგენა. ფესტივალმა დააფუძნა მდინარე ნიგერის ობსერვატორია.

ფესტივალის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა 20-დან 26 000-მდე, უცხოელთა რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა - 70%-ით, ადგილობრივ ეკონომიკაში ტურიზმის, ტრადიციული რეწვის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 5 მილიონი. ყოველწლიურად იქმნებოდა 2000-მდე სამუშაო ადგილი. ფესტივალმა დააფუძნა სამი ყოველწლიური ეროვნული კონკურსი, თანამედროვე ხელოვნების გამოფენები და ტრადიციული მალური სამოსის შესახებ ვორკშოპები. ყოველწლიურად ხდება 30 ტრადიციული საშემსრულებლო ჯგუფის და 500-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ხელოვანის წარმოდგენა და ახალი ტალანტების აღმოჩენა. (იხ. შემოქმედებითი ეკონომიკის ანგარიში, UNDP, UNESCO, 2013, გვ. 55)

- დანაშაულის პრევენცია – კულტურისა და შემოქმედებითობის განვითარება დადებით გავლენას ახდენს დანაშაულის პრევენციაზე, ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე და ქვეყანაში უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფ ადამიანებთან მიღწეული თერაპიული ეფექტი არტ და მუსიკალური თერაპიის მეშვეობით;

- გარემოს დაცვა – კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის საკითხები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, კულტურა ხელს უწყობს გარემოს დაცვას (კულტურისა და შემოქმედების წვლილი ეკოლოგიის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაში, ნარჩენების გამოყენება მოდაში, დიზაინში, თანამედროვე ხელოვნებაში, ტრადიციულ რეწვაში და სხვ.);

- საგარეო ურთიერთობები – კულტურული დიპლომატია საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. წარმატებული კულტურის საერთაშორისო პოლიტიკა: ხელს უწყობს ქვეყნის ცნობადობის გაზრდას, სახელმწიფოთა და ხალხთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, სახელმწიფო ინტერესების დაცვას, მშვიდობის შენარჩუნებას რეგიონში, ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების განმტკიცებას, საზღვარგარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ქართული დიასპორების განვითარებას. ქართული კულტურის, როგორც ევროპული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილის ევროპულ კულტურულ სივრცეში ინტეგრაცია, ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის ხელშემწყობი ფაქტორია;

- იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ლტოლვილებზე ზრუნვა – კულტურა ხელს უწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა რეაბილიტაციას, რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას;

„დოკუმენტა“

კასელი (გერმანაია) - 1955 წელს დაფუძნებული თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზრობა მთელს ევროპასა და მსოფლიოში, რომელიც 5 წელიწადში ერთხელ იმართება ქალაქ კასელში (200 000-მდე მოსახლეობა), 100 დღის განმავლობაში. გამოფენა უმთავრესი კულტურული სიმბოლოა ქალაქისა, რომლის 80% მეორე მსოფლიო ომის დროს დაიბომბა. 2002 წელს პროექტის ბიუჯეტი შეადგენდა 22 მლნ. ევროს (50% - საკუთარი რესურსი, 35%- სახელმწიფო მხარდაჭერა, 15%- კერძო მხარდაჭერა). ამავე წელს, „დოკუმენტა“-მ მოიზიდა 650 000 მნახველი, მათ შორის 23% უცხოეთიდან, რომლებმაც ადგილობრივი ტურიზმის განვითარებაში შეიტანეს წვლილი. ამასთანავე 40 000-მდე ჟურნალისტი ესწრებოდა ღონისძიებას.

„დოკუმენტას“ პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი ქალაქ კასელზე და რეგიონზე - 60 მლნ. ევრომდეა შეფასებული (თავად გამოფენამ 6, 340 000 ევრო გამოყო დასაქმებასა და მომსახურებაზე, ვიზიტორებმა კი, კასელის რეგიონში 52 მლნ. ევრომდე დახარჯეს).

ღონისძიებამ პირდაპირ და ირიბად ხელი შეუწყო კასელის ინფრასტრუქტურის განვითარებას და კეთილმოწყობას. აშენდა და მოეწყო გამოფენისთვის სათანადო შენობები. ღონისძიების პერიოდში 600-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. მათგან 200-მდე გიდის მომსახურებაა საჭირო ვიზიტორებისთვის ხელოვნების ნიმუშების საჩვენებლად. (იხ. „კულტურის ეკონომიკა ევროპაში“, KEA 2006, გვ. 151)

- შერიგება და სამოქალაქო თანასწორობა – კულტურა ხელს უწყობს სამოქალაქო შერიგებას კონფლიქტების შემდგომ პერიოდში, უმცირესობების იდენტობის დაცვას, მათ სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში და განამტკიცებს სამოქალაქო თანასწორობას;
- დიასპორასთან ურთიერთობის პოლიტიკა – კულტურა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქართული დიასპორის კულტურული თვითშეგნების შენარჩუნებისათვის და ხელს უწყობს მის ინტეგრაციას ქვეყნის საზოგადოებრივ თუ ეკონომიკურ განვითარებაში;
- და სხვ.

როტერდამის კრეატიული ფაბრიკა

პროექტი დაარსდა 2008 წელს მიტოვებულ მარცვლეულის საწყობში. პროექტმა ხელი შეუწყო ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ქალაქის ყველაზე მიყრუებულ უბანში და სამუშაო სივრცე შესთავაზა 180-მდე მცირე ზომის კომპანიას უკანასკნელი 5 წლის მანძილზე. პროექტი არის მთავრობას, კერძო ბიზნესსა და განათლების ინსტიტუციებს შორის საჯარო-კერძო პარტნიორობის მაგალითი, რომლის მიზანია კრეატიული ინდუსტრიების ერთ ჭერქვეშ განთავსება. ამ კომპანიათაგან უმეტესობა ღია სივრცეში ფუნქციონირებს და ქირაობენ სამუშაო მაგიდას კაცზე 110 ევროდ თვეში ყველა სახის მომსახურების ჩათვლით: გათბობა, ელექტროობა, ინტერნეტი, დაცვა, შეხვედრის ოთახები, ბიზნეს კავშირები და ტრენინგები. პროექტს მართავს კერძო კომპანია, რომელიც როტერდამის მუნიციპალიტეტისგან ქირაობს სივრცეს. პროექტი ხელს უწყობს კრეატიული კომპანიების სწრაფ ზრდას, სტარტაპებისთვის საოფისე ფართის შეთავაზების ჩათვლით, ქალაქის გაღარიბებული უბნების გაჯანსაღებას, პროფესიული საქმიანობის განვითარებას სხვადასხვა სახის ინდუსტრიებს შორის ურთიერთანამშომლობას და სექტორის ცნობადობას. (იხ. შემოქმედებითი ეკონომიკის შეფასება“, UNDP, UNESCO 2013, გვ. 117)



1 კულტურა მდგრადი განვითარებისთვის. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, unesco.org: https://en.unesco.org/themes/culture-sustainable-development - დან
(2014). კულტურა და მდგრადი განვითარება. იუნესკო. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, unesco.org:http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/pdf/2-UNSG_Report_A_69_216_EN.pdf - დან

2 საერთაშორისო კონფერენცია „კულტურა მდგრადი ქალაქებისთვის“ ჰანჯოუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. (2015 წლის 10-12 დეკემბერი). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, unesco.org: http://www.unesco.org/new/en/culture/themes/culture-and-development/culture-for-sustainable-cities/ - დან
გაეროს რეზოლუცია N69/230, კულტურა და მდგრადი განვითარება. (2014 წლის 19 დეკემბერი). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, un.org: http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/69/230 - დან
გაეროს რეზოლუცია N 68/223. (2013 წლის 20 დეკემბერი). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, un.org: http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CLT/pdf/3_UNGA_Resolution_A_RES_68_223_EN.pdf - დან
ფლორენციის დეკლარაცია. (2014 წლის 4 ოქტომბერი). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, unesco.org: http://en.unesco.org/system/files/Florence%20Declaration_4%20October%202014_EN_3.pdf - დან
დეკლარაცია კულტურის ჩართვაზე მდგრადი განვითარების მიზნებში. (2014 წლის 1-ლი მაისი). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, culture2015goal.net: http://www.culture2015goal.net/index.php - დან
გაეროს გენერალური ასამბლეის თემატური დებატები: კულტურის საკითხები გათვალისწინებულ უნდა იქნას 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგში. (2014 წლის 5 მაისი). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, un.org: https://www.unngls.org/index.php/un-ngls_news_archives/un-ngls_news_2014/202-ga-thematic-debate-culture-deserves-recognition-in-the-post-2015-agenda-5-may - დან
(2013). მრგვალი მაგიდა - კულტურისა და მდგრადი განვითარების საკითხები 2015 წლის შემდგომი განვითარების დღის წესრიგში. იუნესკო. აპია, სამოა: Apia Office. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/FIELD/Apia/images/Round_table_23Aug.pdf - დან
გაეროს გენერალური ასამბლეის თემატური დებატები კულტურისა და განვითარების შესახებ. (2013 წლის ივნისი). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, www.unesco.org: http://www.unesco.org/new/en/media-services/single-view/news/culture_takes_the_centre_stage_at_the_un_general_assembly/#.V-oWM_l96Un - დან
საერთაშორისო კონგრესი “კულტურა: მდგრადი განვითარების საწინდარი”. (2013 წლის 15-17 მაისი). ჰანჯოუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, un.org: http://www.unesco.org/new/en/culture/themes/culture-and-development/hangzhou-congress/about-the-congress/ - დან

3 OECD. (2005). კულტურა და ადგილობრივი განვითარება. პარიზი: OECDPUBLISHING. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, oecd.org: http://www.oecd.org/leed-forum/publications/Culture%20and%20Local%20Development.pdf - დან

4 EY. (2014 წლის დეკემბერი). ეკონომიკური ზრდის შექმნა - ევროკავშირის კულტურისა და შემოქმედებითი ბაზრის კვლევა. EY. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, ey.com: http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/EY-Creating-Growth-Measuring-Cultural-and-Creative-Markets-in-the-EU/$FILE/EY-Creating-Growth-Measuring-Cultural-and-Creative-Markets-in-the-EU.pdf - დან

5 UNESCO, UNDP, UNFPA. (2015). 2015 წლის შემდგომი დიალოგები კულტურასა და განვითარებაზე. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, http://unesdoc.unesco.org/images/0023/002322/232266E.pdf - დან

6 იხ. სქოლიო II, საერთაშორისო კონგრესი (ჰანჯოუ 2013)

7 KEA. (2006 წლის ოქტომბერი). კულტურის ეკონომიკა ევროპაში. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, ec.europa.eu: http://ec.europa.eu/culture/library/studies/cultural-economy_en.pdf - დან

8 UNTCAD. (2013 წლის 15 მაისი). UNTCAD-ის მონაცემებით შემოქმედებითი პროდუქტებით ვაჭრობამ ახალ პიკს მიაღწია. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, unctad.org: http://unctad.org/en/pages/newsdetails.aspx?OriginalVersionID=498 - დან

9 UNESCO, UNDP. (2013). შემოქმედებითი ეკონომიკის ანგარიში, სპეციალური გამოცემა. ნიუ-იორკი, პარიზი: UNESCO, UNDP. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, unesco.org: http://www.unesco.org/culture/pdf/creative-economy-report-2013-en.pdf - დან

10 შემოქმედებითი ინდუსტრიებს საათში 10 ფუნტი სტერლინგი შეაქვს გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკაში. (2016 წლის 26 იანვარი). მოპოვებული 2016 წლის ივნისი, gov.uk: https://www.gov.uk/government/news/creative-industries-worth-almost-10-million-an-hour-to-economy - დან

11 იხ. წყარო VII, კულტურის ეკონომიკა ევროპაში (2006)

12 იხ. წყარო IV, ეკონომიკური ზრდის შექმნა (2014)

13 გაერთიანებული სამეფოს კულტურის მედიისა და სპორტის დეპარტამენტი. (2015 წლის 13 იანვარი). შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკონომიკური შეფასება. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, gov.uk: https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/394668/Creative_Industries_Economic_Estimates_-_January_2015.pdf - დან

14 Europa Nostra. (2006 წლის 15 ნოემბერი). კულტურული ტურიზმის წახალისება და მისი უარყოფითი ეფექტების შემცირება. პარიზი, საფრანგეთი. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, http://www.europanostra.org/UPLOADS/FILS/EN_position_paper_cultural_tourism.pdf - დან

15 OECD. (2009). კულტურის გავლენა ტურიზმის განვითარებაზე. პარიზი: OECDpublishing. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, http://www.mlit.go.jp/kankocho/naratourismstatisticsweek/statistical/pdf/2009_The_Impact.pdf - დან

16 იხ. წყარო VII, კულტურის ეკონომიკა ევროპაში (2006)

17 Tom Fleming Creative Consultancy. (2015). ევროპაში კულტურული და შემოქმედებითი სექტორის დადებითი გავლენა. მომზადებულია ევროპის კომისიის დაკვეთით. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, http://ccspillovers.wikispaces.com/file/view/Cultural%20and%20creative%20spillovers%20in%20Europe%20-%20full%20report.pdf/566015931/Cultural%20and%20creative%20spillovers%20in%20Europe%20-%20full%20report.pdf - დან

18 CEBR. (2013 წლის მაისი). ხელოვნებისა და კულტურის როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ანგარიში მომზადებულია ინგლისის ხელოვნების საბჭოსა და ეროვნული მუზეუმების დირექტორატების საბჭოსთვის. ლონდონი: Centre for Economics and Business Research Ltd. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, http://www.creativenz.govt.nz/assets/ckeditor/attachments/1027/arts_council_england_cebr_economic_impact_report.pdf?1410230308 - დან

19 Arts Council England. (2014 წლის მაისი). ხელოვნების და კულტურის ღირებულება ადამიანებისა და საზოგადოებისთვის. მანჩესტერი, გაერთიანებული სამეფო. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, artscouncil.org.uk: http://www.artscouncil.org.uk/sites/default/files/download-file/Value_arts_culture_evidence_review.pdf - დან

20 BOP consulting. (2011 წლის მაისი). ედინბურგის ფესტივალების გავლენის შესწავლა. მოპოვებული 2016 წლის ივნისი, scottish-enterprise.com: https://www.scottish-enterprise.presscentre.com/imagelibrary/downloadMedia.ashx?MediaDetailsID=647 - დან

COPYRIGHT All rights reserved

გვ.2-3 © ევგენი მალოლეტკა, საქართველოს ელექტრონული მუსიკის ფესტივალი - GEM Fest 2016, ანაკლია, საქართველო

გვ.6 © ოდესა//ბათუმი ფოტო დღეები 2015 / MAGIC INVENTIONS, კურატორი ბერალ მადრა, სტამბული, თურქეთი / ფოტო - პაველ ფიოდოროვი

გვ.9 -14 -15 © ფესტინოვა 2014, გარიყულა, საქართველო / Wowhaus Design & Architecture- ანასტასია რიჩკოვა, „პროექტი ნანგრევში. არტინტეგრაცია-ლენტი“ / ფოტო - გელა ბედიანაშვილი

გვ.12-64-65 © არტისტერიუმი 2014 - „ჰიუსტონ, პრობლემა გვაქვს!“, თბილისი, საქართველო / ინსტალაცია „სპექტაკლის საზოგადოება“ - ვაგრამ გალსტიანი, სომხეთი / ფოტო - გელა ბედიანაშვილი

გვ.18 -19 © საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ფოტო - გელა ბედიანაშვილი, თბილისის საერთაშორისო ფოტოვესტივალი „ქოლგა“, 2015

გვ.21-82 © ევგენი მალოლეტკა, საქართველოს ელექტრონული მუსიკის ფესტივალი - GEM Fest 2016, ანაკლია

გვ.23 © ფოტო - ზურაბ გეწაძე

გვ.24 © ოდესა//ბათუმი ფოტო დღეები 2015 / MAN WITH ACCORDION, რეზო კეზელი, თბილისის ფოტოფესტივალის კურატორობით / ფოტო - პაველ ფიოდოროვი

გვ.29 © საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ფოტო - გელა ბედიანაშვილი, გოგი-ალექსი მესხიშვილის სტუდია, 2014

გვ.31 © ევგენი მალოლეტკა, საქართველოს ელექტრონული მუსიკის ფესტივალი - GEM Fest 2016, ანაკლია

გვ.34-35 © ფესტინოვა 2013, გარიყულა, საქართველო / „პერსონა“ - კოტე ჯინჭარაძე / ფოტო - გელა ბედიანაშვილი
50-68-69

გვ.36 © საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ფოტო - გელა ბედიანაშვილი, გელათის მონასტერი, 2015

გვ.39 © საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ფოტო - გელა ბედიანაშვილი, გრაკლიანი, 2016

გვ.40 © ფოტო - ზურაბ გეწაძე

გვ.41 © საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ფოტო - გელა ბედიანაშვილი, გოგი - ალექსი მესხიშვილის სტუდია, 2014

გვ.42 © ბათუმის თანამედროვე ხელოვნების სივრცე, 2015 - GORELOVKA PHOTO CLUB ნათელა გრიგალაშვილი / ფოტო - ლაშა ფალავანდიშვილი

გვ.43 © საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ფოტო - გელა ბედიანაშვილი, ახალციხის ხალიჩების ფესტივალი, 2016

გვ.44 © Grand Prix 2011, ბრნოს ხელოვნების სახლი, ჩეხეთი, ფოტო დუსან ზაჰორანსკი

გვ.45 © საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ფოტო - გელა ბედიანაშვილი, რობი უილიამსის კონცერტი, 2016

გვ.46 © ევგენი მალოლეტკა, საქართველოს ელექტრონული მუსიკის ფესტივალი - GEM Fest 2016, ანაკლია

გვ.48 © ევგენი მალოლეტკა, საქართველოს ელექტრონული მუსიკის ფესტივალი - GEM Fest 2016, ანაკლია

გვ.49 © ფოტო - ზურაბ გეწაძე

გვ.51 © არტისტერიუმი 2014 - „ჰიუსტონ, პრობლემა გვაქვს!“, თბილისი, საქართველო / ინსტალაცია „ახალი ამბების მუზეუმი“ - მარიამ ნატროშვილი, დეთუ ჯინჭარაძე, საქართველო / ფოტო - გელა ბედიანაშვილი

გვ.52-53-57 © ფესტინოვა 2013, გარიყულა, საქართველო / „String art“ - ლუკა ელოშვილი / ფოტო - გელა ბედიანაშვილი

გვ.58-59 © საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ფოტო - გელა ბედიანაშვილი, ბათუმი, 2016

გვ.61-62-63 © საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ფოტო - გელა ბედიანაშვილი, გეგუთის ციხე-სიმაგრე, 2016

გვ.78-79 © ფესტინოვა 2014, გარიყულა, საქართველო / „Return to Sender“ - ნანუკა ჩიჩუა / ფოტო - გელა ბედიანაშვილი

დაბეჭდილია:
ISBN:

დიზაინი: მარიამ ქუფარაშვილი
ყდის ფოტო: გელა ბედიანაშვილი